ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული თავისუფლების გზით – პიროვნული თავისუფლებისაკენ!
პიროვნული თავისუფლების გზით – ეროვნული თავისუფლებისაკენ!

# საქართველო

საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი
გამოდის ორშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს

№24 (1534) 13–15 მარტი, 1997 წელი

## პასუხი

## მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ე.წ. „დღიურების" გამომქვეყნებელს

ნოდარ გრიგალაშვილი

მეორე გვერდი

## მე მრცხვენია, მე მრცხვენია, მე მრცხვენია!..

მეოთხე გვერდი

## SOS!!!

გურამ ფანჯიკიძე

მესამე გვერდი

XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის. სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

## დავით კლდიაშვილი

მეხუთე გვერდი

## საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

მერვე გვერდი



საქართველოსთვის, საქართველოსთვის, საქართველოსთვის, ბიჭებო, სწორდით!

## შაბათის ნომერში

დაიწყება საპრეზიდენტო არჩევნებში ჯუმბერ პატიაშვილის ყოფილი ნდობით აღჭურვილი პირის ალექსანდრე ჭაჭიას პუბლიკაცია

# პასუხი მანანა არჩვაძე-გამსახურდიას ე.წ. „დღიურების" გამომქვეყნებელს

## ნოდარ გრიგალაშვილი

მახსენდება ჩეხოვის ერთი გონებამახვილური სიუჟეტი. პერსონაჟმა, რომლის არსებობა ამ დუნიაზე პატარა „ჩიხში" მცხოვრებთა გარდა არავინ უწყოდა, მთელი ქვეყანა შეჰყარა, ნახეთ, ჩემი გვარ-სახელი გაზეთში წერიაო. გახარებულმა ახლობლებმა, როგორც იქნა, წერა-კითხვის მცოდნე იპოვეს და ამოაკითხინეს შემდეგი – გუშინ მოქალაქე ამას და ამას (პერსონაჟის გვარი აღარ მახსენდება)... ქუჩაში ბარბაცით მიმავალს, ეტლი დაეჯახა და მსუბუქად დააზიანაო...

გახარებული მოქალაქე თავმომწონედ, ამპარტავნულად უყურებდა მსმენელებს, რომელთაც გაზეთში მოხვედრის ბედნიერება ჯერაც არ ხვდომოდათ წილად...

მოკლედ, ძალიან უხაროდა, რომ უცებ „პოპულარული" კაცი გახდა... აი, ამისთანა საშუალებაც არსებობს თურმე, „ცნობილ" პერსონად რომ იქცე!.. ეტლმა არა, მაგრამ ჩემი წერილის პერსონაჟიც საზოგადოებრივმა აზრმა მსუბუქად დააზიანა...

მან გაუხმაურებელ გაზეთში, რომელსაც ჰქვია „გაუხმაურებელი ფაქტები", გამოაქვეყნა მანანა არჩვაძის ე.წ. „დღიურები". ამ ფაქტთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში" დავბეჭდე წერილი – „ჟურნალისტებო, ყველაფერს ნუ ვიკადრებთ!" წერილში არც რედაქტორის გვარი მიხსენებია, არც სახელი. მიზეზი ის იყო, რომ საერთოდ ყოვლისკადრების ტიპური მოვლენის წინააღმდეგ გავილაშქრე და არა კერძო კაცისა. ესეც არ იყოს, ვერ მივხვდი, ვინ იყო ეს მუსხელაძე, და უსახელაძე კაცთან რატომ გამემართა დავა-კამათი?

ჩეხოვის პერსონაჟის არ იყოს, ჩემი პერსონაჟიც ერთობ ორიგინალურად მოიქცა, გაჩუმების ნაცვლად, გაზეთ „ასავალ-დასავალიდან" მთელს საქართველოს აცნობა, ის სისულელე რომ დავბეჭდე, მე ვარო... თან ფოტოც წარმოგვიდგინა, გაზეთიდან კეთილად გვიღიმის...

გვარით ვერა, მაგრამ ფოტოთი ვიცანი. გულითადი სალმით მხვდებოდა ხოლმე ეს კაცი და ცოტა შევწუხდი კიდეც, ნეტავ ასე საჯაროდ არ გადაეყარა თავს ნაცარი-მეთქი.

ჟურნალისტის, ბატონ ვ.პავლიაშვილის კითხვაზე – *გამსახურდიას მეუღლის დღიურების ბეჭდვას კიდევ გააგრძელებთ?*

ბატონი მუსხელაძე პასუხობს:

– *არა.*

– *რატომ, ხომ არ შეშინდით?*

– *...მიუხედავად დიდი სურვილისა, დადებით პიროვნებად წარმოვაჩინოთ ზვიად გამსახურდია, დღიურებმა, მას გარკვეულწილად მაინც ჩრდილი მიაყენა, ამიტომაც ვიკავებთ თავს.*

ძვირფასო მკითხველო, გაიხსენეთ რა წერია იმ დღიურებში. წერია, რომ ზ.გამსახურდია მეუღლის შინ ყოფნის დროსაც კი, ქუჩის



ქალებს მიათრევდა საკუთარ სახლში. წერია ათასი ამდაგვარი უკუღმართობანი. თავი დავანებოთ იმას, რომ ეს მართლაც ნაგავში ქექვაა. თავი დავანებოთ იმასაც, რომ ამაზრზენი ტყუილია.

მთავარი სხვა რამ გახლავთ. ამ ჩვენს უსახელაძე მუსხელაძეს ამ ე.წ. „დღიურების" გამოქვეყნება, თურმე იმიტომ დაუწყია, რომ დიდი სურვილი ჰკლავდა, რათა დადებით პიროვნებად წარმოეჩინა ზვიად გამსახურდია... ახლა კი ჩემი წერილისა და საზოგადოებრივი აზრის გათვალისწინებით, „მიმხვდარა", რომ „გარკვეულწილად მაინც ჩრდილი მიაყენა" მას და აწი თავს იკავებს...

ძალიან უცნაური აზრების კაცი ჩანს ეს ჩვენი მუსხელაძე, რასაც მისი გალიმებული ჰაბიტუსის გამოქვეყნებამ მთლად ბეჭედი დაუსვა... (ამ ფოტოსაც აქვე გთავაზობთ)...

მოკლედ, უსახელაძე რომ უცებ სასახელაძე კაცი გამხდარიყო, კი მიმართა ამისთვის ერთობ ორიგინალურ გზას – საჯაროდ გვამცნო, მე ვარ ის კაცი, სიაფრაკე რომ დავბეჭდე და აწი თავს შევიკავებო, მაგრამ „მეტი სახელის" მოსახვეჭად, მოულოდნელად მე დამეტაკა საჭიდაოდ.

შეხედეთ ერთი, რას წერს ეს ღვთისნიერი: „დარწმუნებული ვარ გრიგალაშვილს თავად სურდა დღიურების გამოქვეყნება. ამის თქმის საფუძველს ის მაძლევს, რომ, მისივე სიტყვებით, ჩანაწერები ადრევე ჰქონია, მაგრამ... გამოქვეყნება დავასწარით და ეს არ გვაპატიაო".

მე ვწერდი: ეს დღიურები 1992 წლის იანვარში გადმომცეს-მეთქი, საინტერესოა, 1997 წელს როგორ დამასწრო ამ კაცმა 5 წლის წინ ჩემს ხელთ არსებული დღიურების გამოქვეყნება?

ესეც არ იყოს, თუ მისი გამოქვეყნება მსურდა, ამჟამადაც გამოვაქვეყნებდი, მუსხელაძეს რატომ მოვერიდებოდი. მას რა, მანანა არჩვაძისაგან ექსკლუზიური უფლება ჰქონდა მიღებული?..

„ეს არ ეკადრება მის პიროვნებას, კაცობას, განათლებას, მაგრამ..." წერს მუსხელაძე ჩემი მისამართით. დიდი მადლობა, ბატონო ლერი, ჩემს პიროვნებაზე, კაცობასა და განათლებაზე დადებითი აზრისათვის, მაგრამ თან ჭკვიანი გგონივართ, თან სულელი. ამიტომ მინდა განგიმარტოთ, მე არ ვარ თქვენსავით უცნაური...

ასე მაგალითად, თქვენ წერთ: ამ საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „საქართველოში" გამოქვეყნებული ბატონ თენგიზ სიგუას კომენტარი თენგიზ სიგუას კომენტარი არ არისო.

რანაირი კაცი ხართ ბატონო ლერი. შეიძლება ჩემს ჯინაზე ამისთანა ამბები დაიმართოთ? რასაც მე ვიტყვი, ყველაფრის საწინააღმდეგოს მტკიცება როგორ შეიძლება?

მე ვწერ – ეს დღიურები ქ-ნ მანანა არჩვაძისა არ უნდა იყოს-მეთქი. თქვენ დაგიჟინიათ – მისიაო.

მე ვწერდი – ბატონ თენგიზ სიგუას კომენტარს გთავაზობთ-მეთქი.

თქვენ დაგიჟინიათ, ეს სიგუას კომენტარი არ არისო.

ბატონი თენგიზ სიგუა წერს – ეს მე ვარ, კომენტარიც ჩემიაო.

თქვენ მაინც იღიმებით – ეს თქვენ არა ხართ, ეს თქვენი კომენტარი არ არისო.

ქვემოთ გთავაზობთ ბატონ თენგიზის პატარა წერილს, ნაბეჭდსაც და ხელნაწერსაც. თქვენ, ალბათ, წაიკითხავთ და-ისევ გაღიმებული იტყვით – ეს კია სიგუას კომენტარი, ეს კია სიგუას ხელნაწერი, მაგრამ... თვით თენგიზ სიგუა არ არის თენგიზ სიგუაო...

გემშვიდობებით და გილოცავთ უსახელაძედან „სასახელაძედ" გადაქცევას, ჩემდა სასახელოდაც უნდა ითქვას, რომ შემიძლია ამ საქმეში კვლავ უზომო წვლილი შევიტანო, უკეთუ იმას მომაწერთ კიდევ, რაც ნამდვილად არ მეკადრება...

---

ᲒᲐᲖᲔᲗ „ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ" ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲡ

Ბ-Ნ ᲜᲝᲓᲐᲠ ᲒᲠᲘᲒᲐᲚᲐᲨᲕᲘᲚᲡ

გაზეთ „ასავალ დასავალში" (1997 წლის 11–17 მარტი, №11) გამოქვეყნებულია ინტერვიუ გაზეთ „გაუხმაურებელი ფაქტების" რედაქტორთან ბ-ნ ლერი მუსხელაძესთან, სადაც იგი გამოთქვამს ეჭვს იმის თაობაზე, რომ გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი კომენტარი თითქოს მე არ მეკუთვნოდეს.

ვადასტურებ, რომ გაზეთ „საქართველოში" (1997წ. 24–27 თებერვალი) დაბეჭდილი კომენტარი „ეს დღიურები" ნაყალბევი მეჩვენა და მე მოვითხოვე არ გამოექვეყნებინათ იგი!" ნამდვილად მე მეკუთვნის. ბ-ნ ლ.მუსხელაძეს ადვილად შეეძლო ამის გადამოწმება ჩემთან პირადად შეხვედრის ან თუნდაც ტელეფონის საშუალებით. ამ შემთხვევაში საჭირო არ გახდებოდა ამ არასადაო საკითხის პრესის ფურცლებზე გამოტანა და თავადაც უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა.

ᲞᲐᲢᲘᲕᲘᲡᲪᲔᲛᲘᲗ Თ.ᲡᲘᲒᲣᲐ
11.03.97



გაზეთ „საქართველოს" რედაქტორს
ბ-ნ ნოდარ გრიგალაშვილს.
გაზეთ „ასავალ დასავალში" (1997 წ-ის 11-17 მარტი, №11) გამოქვეყნებულია ინტერვიუ გაზეთ „გაუხმაურებელი ფაქტების" რედაქტორთან ბ-ნ ლერი მუსხელაძესთან, სადაც იგი გამოთქვამს ეჭვს იმის თაობაზე, რომ გაზეთ „საქართველოში" დაბეჭდილი კომენტარი თითქოს მე არ მეკუთვნოდეს.
ვადასტურებ, რომ გაზეთ „საქართველოში" (1997წ. 24-27 თებერვალი) დაბეჭდილი კომენტარი „ეს დღიურები" ნაყალბევი მეჩვენა და მე მოვითხოვე არ გამოექვეყნებინათ იგი!" ნამდვილად მე მეკუთვნის. ბ-ნ ლ. მუსხელაძეს ადვილად შეეძლო ამის გადამოწმება ჩემთან პირადად შეხვედრის ან თუნდაც ტელეფონის საშუალებით. ამ შემთხვევაში საჭირო არ გახდებოდა ამ არასადაო საკითხის პრესის ფურცლებზე გამოტანა და თავადაც უხერხულ მდგომარეობაში არ აღმოჩნდებოდა.
პატივისცემით თ. სიგუა
11.03.97.

---

# მინისტრების გამოსვლა ნაკლებად საქმიანია

ᲒᲣᲨᲘᲜ, ჩატარდა საქართველოს მთავრობის გაფართოებული სხდომა, რომელიც საქართველოს ეკონომიკის ფუნქციონირების, კერძოდ 1997 წლის 2 თვის შედეგებს ეძღვნება. საქართველოს პრეზიდენტი შეშფოთებულია არსებული მდგომარეობით, რაც ძირითადად ეხება ბიუჯეტის საშემოსავლო და ხარჯვითი ნაწილს ხელფასების, პენსიებისა და დახმარებების სფეროში. პრეზიდენტის შეფასებით, თუ 2 თვის შედეგები ასეთი მძიმეა, ამას სერიოზული დასკვნები უნდა მოჰყვეს.

გაფართოებული სხდომის პირველ ნაწილში მოხსენებით გამოვიდნენ ეკონომიკის მინისტრი ვ.პაპავა, ფინანსთა მინისტრი დ.იაკობიძე, სათბობ-ენერგეტიკის მინისტრი დ.ზუბიტაშვილი, საგადასახადო სამსახურის უფროსი დ.სალარიძე, საბაჟო დეპარტამენტის უფროსი თ.აბულაძე და სოცუზრუნველყოფის მინისტრი თ.გაზდელიანი.

საქართველოს პრეზიდენტმა მინისტრების გამოსვლა შეაფასა, როგორც ნაკლებად საქმიანი, სადაც არ სჩანს შექმნილი მძიმე ვითარება. (იფრინდა)

# ᲝᲗᲮᲛᲮᲠᲘᲕᲘ ᲨᲔᲮᲕᲔᲓᲠᲐ ᲭᲣᲑᲣᲠᲮᲘᲜᲯᲨᲘ

ᲒᲣᲨᲘᲜ გალის რაიონის სოფელ ჭუბურხინჯში შედგა ოთხმხრივი შეხვედრა, რომელსაც ქართული მხრიდან მხოლოდ პოლკოვნიკი თ.ოშხერელი ესწრებოდა. საგულისხმოა, რომ ქართული მხრიდან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა, (რომლებიც შეხვედრაზე უნდა ყოფილიყვნენ) სოლიდარობა გამოუცხადეს საპარლამენტო ფრაქცია „აფხაზეთს", მოითხოვეს აფხაზურ მხარესთან ყოველგვარი მოლაპარაკებების შეწყვეტა და შეხვედრაზე არ გამოცხადდნენ. რუსეთის მხრიდან შეხვედრას ესწრებოდა სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსი იური ტიხონოვი, გაეროს მხრიდან – ოპერატიული სამსახურის უფროსი პოლკოვნიკი კობლი, აფხაზური მხრიდან – გალის ე.წ. ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვ.ლომია და გალის უშიშროების სამსახურის უფროსი ა.არშბა. შეხვედრაზე ზუგდიდისა და გალის მხარეების სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელებმა გააკეთეს ინფორმაცია ერთი კვირის განმავლობაში მომხდარი მოვლენების შესახებ.

სამშვიდობო ძალების შტაბის უფროსმა იური ტიხონოვმა, სამშვიდობო ძალების ხელმძღვანელობის ოფიციალური მოთხოვნა წაუყენა საქართველოს უშიშროების მინისტრს, რათა სამინისტრომ გაააქტიუროს ნაღმზე აფეთქებული სამშვიდობო ძალების სანიტარული მანქანის ძებნა, რის შედეგადაც სამი რუსი სამხედრო მოსამსახურე დაიღუპა. (იფრინდა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ამიერკავკასიის ჟურნალისტთა შეხვედრა — ჩვენი თავი სარკეში დავინახეთ

7–11 მარტამდე საერთაშორისო ორგანიზაცია „ტასისის“ ხელშეწყობით, წაბახმელაში ჩატარდა ამიერკავკასიის ჟურნალისტების შეხვედრა-სემინარი. ასეთი სახის ღონისძიებების ჩატარება, განსაკუთრებით ახლო მეზობელი ქვეყნების წარმომადგენლებთან, ყოველთვის სასარგებლოა. ინფორმაციის გაცვლა ხელს უწყობს სხვა რაკურსით, მთლიანობაში დაინახო, როგორც ქართული ჟურნალისტიკის პრობლემები, ასევე რეგიონში მიმდინარე პროცესები. ამიერკავკასიაში მას მეტ-ნაკლებად ჩვეულებრივი პოსტსაბჭოთა მდგომარეობა აქვს.

### „IV ხელისუფლება“ აზერბაიჯანში

აზერბაიჯანში თუმცა არის ცენზურა, მაგრამ იგი კორუფციის ერთ-ერთ წყაროდაა გადაქცეული დაბალი რანგის ჩინოვნიკებისათვის. არის ერთადერთი გამომცემლობა, რომელიც სახელმწიფოს ეკუთვნის. მასვე ეკუთვნის გავრცელების სამსახურიც, ამის გამო რაიონებში პრესა თითქმის არ ვრცელდება. ბაქოში არის ჩამოყალიბებული პრესის გავრცელების რამდენიმე პატარა ალტერნატიული სამსახური, მაგრამ იგი ბაქოს ვერ სცდება. ჟურნალ-გაზეთები მაინც რენტაბელურია, ისინი რეკლამის ხარჯზე ცხოვრობენ. მიუხედავად ხელისუფლების მხრიდან დიქტატის მცდელობისა, აზერბაიჯანის ჟურნალისტთა კორპუსი მაინც ახერხებს დამოუკიდებლობის შენარჩუნებას, რადგან კოლეგიალობის გრძნობა და ურთიერთთანადგომის ხარისხი მაღალია.

### „IV ხელისუფლება“ სომხეთში

სომხეთში ცენზურა თითქოს არ არის. არსებობს დამოუკიდებელი ტელევიზია. სახელმწიფო ტელევიზიაშიც კი იშვიათად, მაგრამ მაინც გაისმის ოპოზიციური აზრი. გაზეთები რენტაბელური არაა. რეკლამაში მცირე თანხას იხდიან და გაზეთები მხოლოდ სპონსორების იმედზე არიან დარჩენილი. გამომცემლობა სახელმწიფოს ეკუთვნის, მაგრამ ლაპარაკია მის პრივატიზებაზე. ყოველდღიური ოპოზიციური და თავისუფალი გაზეთები არ არსებობს. არის მხოლოდ ყოველკვირეული გამოცემები. რაიონებში გავრცელება შეფერხებულია მოსახლეობის სიღატაკის გამო. პირდაპირი ცენზურის მაგივრად ხელისუფლება დაშინების პოლიტიკას მისდევს. ხშირია ტელეფონის საშუალებით მუქარა. ასევე რედაქტორებისა და წამყვანი ჟურნალისტების ცემა „უცნობი პირების“ მიერ. ხელისუფლების კრიტიკას აზრი აქვს დაკარგული, რადგან ვისაც გაზეთები აკრიტიკებენ, მათ უფრო მაღალ თანამდებობებზე ნიშნავენ და, პირიქით, ვისაც აქებენ, მათ ხსნიან.

სემინარის მიმდინარეობის პერიოდში მოვიდა ცნობა, რომ სომხეთის პრემიერ-მინისტრი, სარქისიანი გადადგა. სომეხი კოლეგების იმედები კი მასზე იყო დამყარებული, როგორც დემოკრატიული მიმართულების და სიტყვის თავისუფლების დამცველ პოლიტიკურ მოღვაწეზე. სომეხი კოლეგები ეჭვობდნენ, რომ სარქისიანის გადადგომა სწორედ მათმა დადებითმა პუბლიკაციებმა გამოიწვია.

### „IV ხელისუფლება“ საქართველოში

საქართველოში კი თითქოს უკეთესი მდგომარეობაა პრესის თავისუფლების მხრივ, მაგრამ ტელევიზია მთლიანად სახელმწიფო დიქტატის ქვეშაა. არ არის დამოუკიდებელი ანალიტიკური პროგრამები. ასეთ პირობებში რადიო მხოლოდ მუსიკას გადასცემს, ტელევიზია კი მდარე სახის ამერიკულ ულიცენზიო ფილმებს. პრესაზე სახელმწიფო ეკონომიური ბერკეტებით ცდილობს გავლენის მოხდენას. ასევე, სახელმწიფოსთან დაკავშირებული კომერციული ჯგუფების მეშვეობით ხდება გავლენის სფეროების გადანაწილება. პრესის გავრცელების სამსახურები ვერ ახერხებენ რაიონებში მუშაობას პროდუქციის ფასისა და მოსახლეობის გაჭირვების გამო. ბოლო პერიოდში შეინიშნება აღმასრულებელი ხელისუფლების მხრიდან პირდაპირი მუქარა და დაშინება. შინაგან საქმეთა მინისტრმა თქვა, რომ უნდა შეიქმნას ჟურნალისტებისაგან პოლიციის დაცვის საზოგადოება. უშიშროების მინისტრი კი დრო და დრო რედაქტორებს იბარებს და ოთხსაათიან საიდუმლო საუბარს მართავს მათთან...

**მანანა იაშვილი**

## ● ჰომოსექსუალისტის მონოლოგიდან

*მეძავი მამაკაცები საქართველოში 25 პროცენტია მხოლოდ (?)*
*ჩვენ ყველგან ვართ, მაგრამ არ ვჩანვართ, დაწყებული „დეორნიკიდან“, დამთავრებული პარლამენტამდე...*

# SOS!!!

**გურამ ფანჯიკიძე**

ამ რამდენიმე დღის წინ ერთმა ჩემმა მეგობარმა დამირეკა. იგი ისე იყო აღელვებული, რომ სიტყვებს ერთმანეთზე ველარ აბამდა.

– რა მოგივიდა? – ვკითხე გაოცებულმა.

– როგორ თუ რა მომივიდა. რადიოს არ უსმენ? – შემომიბრუნა კითხვა.

თურმე რადიოთი ერთი ახალგაზრდა კაცი გამოუყვანიათ, ჰომოსექსუალისტი. სასწრაფოდ დავუკავშირდი რადიოს და მოვითხოვე გამოსვლის ტექსტი. მინდა მადლობა მოვახსენო ქალბატონ მაია კრაწაშვილს, რომელმაც პატივი დამდო და ჩანაწერი სიტყვა-სიტყვით გამიშიფრა.

ქვემოთ გთავაზობთ ამ გამოსვლის ტექსტს (სტილი დაცულია):

„პროფესიით კულინარი ვარ. ფულს ვშოულობ მეძაობით. მე ჩემი კონტინგენტი გამაჩნია. ახლა ზედმეტი ფული არავისთვის ზედმეტი არ არის. გულახდილად გეუბნებით, ასი ქალიდან 90-ს ვაჯობებ, ყველანაირად, იგივე მეძაობით. თუ მე ამოვირჩიე პარტნიორი, მე იმისი არაფერი არ მინდა და თუ იმ პიროვნებამ თვითონ ამომირჩია და მე ის არ მეპიტნავება, რა თქმა უნდა, იმან უნდა გადამიხადოს თანხა, რომ მე ის დამეპიტნაოს თანხის მხრივ მაინც. ვაგზლის ტერიტორიაზე ქალები რომ არიან, მოდით, იმ ქალების კატეგორიას ჩვენ ნუ შეგვადარებთ, ვისაც მხოლოდ გარეგნულად ჰქვიათ ქალები. მსოფლიო ფასებზე რომ ვილაპარაკოთ, ჩვენ, მამაკაცები, უფრო ძვირი ვღირვართ, საერთოდ, მაგრამ აქ გააჩნია კლიენტურას. თუ არიან სოფლელები, იმათი „სტავკა“ უფრო დაბალია, იმათ ისედაც უჭირთ, რომ აქ ჩამოდიან და აქ ვაჭრობენ, ისიც თუ წავართვით, რაღა დარჩებათ. და თუ ის არის თანამდებობის პირი, ფულიანი, ის სიამოვნებაში კარგად იხდის. კაი ფულს, როგორც აქაური გოგოები ეძახიან, 50 ლარი, მე არ ვეძახი. მეძავი მამაკაცები მხოლოდ საქართველოში კი არა, ყველგან ბევრნი არიან, ჩვენში 25 პროცენტია მხოლოდ. ისე რომ, მამაკაცები ცოტანი დარჩნენ.

ჩვენ უჭკვიანესი ადამიანები ვართ, ჩვენ ყველგან ვართ, მაგრამ არ ვჩანვართ, დაწყებული დეორნიკიდან, დამთავრებული პარლამენტამდე. რაც შეეხება რუსეთს, იქ ყველაზე ნიჭიერნი და ძლიერნი მხოლოდ ჩვენნაირი ხალხია. მაფია ჩვენია, იგივე რუსული ესტრადა, რომელსაც ყველაზე მეტი ფული აქვს, ჩვენია. ჩვენ ვიყავით, ვართ და ვიქნებით. მე არაფერი არ მჭირს. ათი წლის ასაკიდან შევედი ამ ცხოვრებაში, არც იძულება იყო და არც არაფერი, მაშინ რომ არ გამეკეთებინა, ახლა გავაკეთებდი“.

არ შეიძლება ნორმალურ ადამიანს თავზარი არ დასცეს ამ სიტყვებმა. ნარკომანიამ ხომ შეჭამა და გამოფიტა ჩვენი ახალგაზრდობა. ახლა ამ საშინელ უბედურებას კიდევ უფრო საშინელი უბედურება – ჰომოსექსუალიზმიც დაემატა?! დღეს, როცა საქართველოს ასე უჭირს, როცა აღსადგენია მისი მთლიანობა, როცა დასაცველია მისი საზღვრები, როცა მეზობელ ქვეყნებში უკვე ემზადებიან იმ მიწების ხელში ჩასაგდებად, წლების მანძილზე რომ უჭირავეთ თვალი, დღეს, როცა დემოგრაფიული კატასტროფის წინაშე დგას ერი, ხოლო საკუთარ მიწაზე სხვათა თორმეტპროცენტიანი მატების მოწმენი გავხდით, ასე გადავარჩენთ ენას, კულტურას, სამშობლოს?!

ჰომოსექსუალიზმი ავადმყოფობაა, – ამბობს ზოგიერთი სპეციალისტი. შეიძლება ეს ასეცაა. მაგრამ თუკი მართლა 25 პროცენტია მათი რაოდენობა, ნუთუ ეს მხოლოდ ავადმყოფობით შეიძლება იყოს გამოწვეული?

ჰომოსექსუალიზმის პრობლემა მთელ მსოფლიოს აწუხებს. ბევრგან უკვე რადიკალური ზომების გატარებასაც აპირებენ ჯერ კიდევ დედის მუცელში მყოფი ნაყოფის მიმართ, რომელსაც მამათმავლობის გენებს დაუდგენენ. ამის საშუალებას კი იძლევა დღევანდელი მედიცინა. აი, რას წერს გაზეთი „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“: „ნობელის პრემიის ლაურეატმა ჯეიმს ვატსონმა წამოაყენა წინადადება, ნებადართულად გამოცხადდეს აბორტი იმ შემთხვევაში, თუ ჩანასახში დნმ-ში (დეზოქსირიბონუკლეინმჟავა) აღმოჩნდება გენები, რომლებიც მოასწავებენ მომავალში ბავშვებში მამათმავლური მიდრეკილების განვითარებას. მეცნიერის აზრით, ჰომოსექსუალიზმი შეიძლება შეედაროს დაუნის ავადმყოფობას. როგორც ერთ, ისე მეორე შემთხვევაში დარღვეულია ადამიანის ფსიქიკა. და თუ კანონი აბორტის ნებას რთავს ქალებს, რომელთა მუცელში მყოფ ბავშვებს დაუნის დაავადების ყველა ნიშანი აქვთ, რატომ არ შეიძლება იგივე გაკეთდეს მომავალი მამათმავლების მიმართ? – კითხულობს „ლოს-ანჯელეს ტაიმსი“. („ს.რ.“, 19.02.97).

მახსოვს, ჩემი ჭაბუკობის დროს სულ ოთხიოდე ჰომოსექსუალისტი იყო თბილისში და მათი სახელი და გვარი ყველამ იცოდა. დღეს კი, თუ იმ ყმაწვილს დავუჯერებთ, ამ „მშვენიერი სქესის“ წარმომადგენლები 25 პროცენტი ყოფილან. თუნდაც ხუთი იყოს, თავში ხელის საცემად არა გვაქვს საქმე?! სწავლობს ვინმე მისი მატების დინამიკას? იცის ვინმემ, ვინ დაბადებითაა ჰომოსექსუალისტი, ვინ გარყვნილებით, ხოლო ვინ ცხოვრების სიდუხჭირის გამოა ჩათრეული ამ ჭაობში?

დღეს, როცა ამდენი ახალგაზრდა უმუშევარია, დღეს, როცა ათასობით ახალგაზრდა სიღატაკის ზღვარზეა, იოლად ფულის შოვნის ცთუნება ხომ არ ითრევს მათ ამ სიბინძურეში?!

უცებ, თვალსა და ხელს შუა, ჩვენს წინ აღიმართა გაცილებით უარესი პრობლემა, ვიდრე ნარკომანიაა.

არ მინდა ჩემი წერილი ლოზუნგებით და მოწოდებებით დავამთავრო. ვიტყვი მოკლედ – ან გავიზიაროთ ჟირინოვსკის აზრი და შევეგუოთ, რომ უნდა გადავშენდეთ, ან მოსალოდნელი კატასტროფა უნდა ვიგრძნოთ და მთელი ერი ფეხზე უნდა დავდგეთ!




მ. აბაშიძის კარიკატურა

**ამ წერილის წამკითხველო! ვიდრე რედაქციას „შეამკობდე“, დაფიქრდი, რას უყურებ ტელევიზიით და რითი ივსებ ამ წუთისოფელში სიამოვნების მოთხოვნილებას!..**

# „Новая жертва“ ანუ ვისი ბურთი ვის კარშია

შვიდი თვის ენით აუწერელი დაძაბულობის და ნერვიულობის შემდეგ როგორც იქნა, დამთავრდა ბრაზილიური კინოსერიალის „მორიგი მსხვერპლის“ ჩვენება. სამწუხაროდ, ვნებათაღელვა მაინც არ დაცხრა. შვიდი თვის მანძილზე სხვადასხვა მიზეზების გამო (უშუქობა, მივლინება, ავადმყოფობა, მოუცლელობა და ა.შ.) ბევრმა ვერ ნახა საკვანძო სერიები, სადაც მძაფრი სიუჟეტის ურთულესი კოლიზიები იხლართებოდა. ამიტომაც ვითვალისწინებთ ათასობით ტელემაყურებლის თხოვნას და შევეცდებით, როგორმე გავარკვიოთ ტელესერიალის სიუჟეტურ ლაბირინთებში.

მაშ ასე, იყო და არა იყო რა, იყო ოთხი და გვარად ფერეტუ. მათი სახელებია (ასაკის მიხედვით) ფილომენა, ფრანჩესკა, რომანა და კარმელა. ყველას ერთად ჰქონდა დიდებული სასახლე და, ცხოვრობდნენ მშვიდად, სანამ მათ თავზე ცა არ ჩამოიქცეოდა. უფროსი დის – ფილომენის ქმარი იყო ელიზეო. ელიზეოს საყვარელი ადრე, სანამ ფილომენას შეირთავდა, იყო მისი მომდევნო და ფრანჩესკა. მან ეჭვიანობის ნიადაგზე მოკლა კიდევ ფრანჩესკას პირველი ქმარი. მაგრამ, ვინაიდან ფრანჩესკას ელიზეო კი არ უყვარდა, არამედ მარსელო და გაყვა კიდეც ცოლად მარსელოს, მანაც ცოლად პირველი და ფილომენა მოიყვანა. მანამდე კი მარსელო უყვარდა მესამე დას რომანასაც. ვინაიდან მარსელომ ცოლად ფრანჩესკა შეირთო, რომანა გარკვეული პერიოდით იტალიაში გადაიხვეწა. ისიც უნდა ვთქვათ, რომ თავიდან პირველი და ფილომენა უყვარდა ადალბერტოს, მაგრამ ვინაიდან ფილომენა ელიზეოს გაჰყვა ცოლად, ადალბერტომ ცოლად მოიყვანა უმცროსი და კარმელა.

ნუ დაიბნევით, ძვირფასო მეგობრებო, სიუჟეტური სირთულეები ჯერ კიდევ წინა გვაქვს, მაგრამ, ვფიქრობ, ნელ-ნელა გავერკვევით, ვისი ბურთი ვის კარშია და ვისი კალმისტარი, ვის ჯიბეში!

თვითონ მარსელო შვილიშვილი იყო ზებალაშასი, რომელსაც თავის მხრივ ჰყავდა შვილი ჟუკო. ჟუკო გახლდათ ქვრივი და ჰყავდა ორი შვილი: ბიჭი ტანიკუ და ქალიშვილი კარინა. ერთი სიტყვით, მარსელო და ჟუკო (ერთი შვილიშვილი და ერთიც შვილი) დიდხანს ცხოვრობდნენ ერთად, სანამ მარსელომ ფრანჩესკაზე არ იქორწინა და საცხოვრებლად დების დიდებულ სასახლეში არ გადავიდა.

მარსელოს უყვარდა თავისი ცოლი ფრანჩესკა, მაგრამ მაინც გაიჩინა საყვარელი, რომელსაც ანა ერქვა. ანასთან მან გააჩინა პირველი შვილი სახელად სანდრინიო. მარსელოს კანონიერ მეუღლესთან – ფრანჩესკასთან შვილი არ ჰყავდა. მოხდა ისე, რომ მარსელო დროებით სადღაც წავიდა. ამით ისარგებლა მისმა ძმამ ჟუკომ და მარსელოს საყვარელ ანას მეორე შვილი ჟულიო გაუჩინა. როცა მარსელო დაბრუნდა,

გაგრძელება მე-8 გვ.

# სერგეი კოვალიოვი: სამგზის ვიმეორებ – მე მრცხვენია, მე მრცხვენია, მე მრცხვენია!..



## დეპუტატთა შიმშილობის ქრონიკა

**შიმშილობის მე–9 დღე, 10 მარტი, ორშაბათი**

რუს ხალხს ძველად ერთი თვისება ახასიათებდა: გამოვიდოდა სოფლის მოედანზე რუსი, მოიგლეჯდა თავიდან ქუდს, დაანარცხებდა მიწაზე, მერე დავარდებოდა მუხლებზე, მიწას ახლიდა თავს და მთელი სოფლის გასაგონად იწყებდა ცოდვების მონანიებას. ამგვარი, გულიდან ამოხეთქილი სინანული და თვითგვემა განსაკუთრებით დიდმარხვის დროს იცოდნენ. არ ვიცი, რამდენად მართლმორწმუნე ქრისტიანია სერგეი ადამის ძე კოვალიოვი, მაგრამ მისი რეაქცია აფხაზეთის უზენაესი საბჭოს და აფხაზეთის მოშიმშილე ფრაქციის წევრებთან საუბრის დროს სწორედ ძველებური მონანიების ზნე–ჩვეულებას ჰგავდა. საუბრის დასასრულამდე იგი ნერვიულად ჭმუჭნიდა ხელში ცხვირსახოცებს და იმდენად დაბნეული იყო, რომ გერმანე ფაცაციას ხუმრობით შეთავაზებაზე, ჩვენთან ერთად იშიმშილეო, შეწუხებულმა მე გადმომხედა და სრული სერიოზულობით ამიხსნა: ავადმყოფი კაცი ვარ და სად შემიძლია შიმშილობაო. ორივე შეხვედრის პასუხად იგი ზედიზედ იმეორებდა, ალბათ წინასწარ მოფიქრებულ სინანულის გამომხატავ სიტყვებს: „მე მრცხვენია! სამგზის ვიმეორებ, – მე მრცხვენია, მე მრცხვენია, რომ ჩემი ქვეყანა ბოლო წლებში არა მშვიდობის დასამყარებლად მოქმედებდა, რადგან ძალიან კარგად ვიცი და ვხედავ, რა როლი შეასრულეს სოხუმის აღების დროს რუსეთის სამხედრო განაყოფებმა. ასევე მრცხვენია, რომ რუსეთი ერთი მხრივ აცხადებდა სანქციებს აფხაზეთის წინააღმდეგ, რაც ფაქტიურად არაფერს ნიშნავდა და მეორე მხრივ, ამარაგებდა აფხაზებს და ამყარებდა სამხედრო ურთიერთობებს მათთან. მრცხვენია, რომ რუსეთი ასეთ ვერაგულ გზას დაადგა და ამ პატარა ნაგლეჯ მიწაზე მცხოვრები ხალხის ნების, გაჭირვების და მოთხოვნილების იგნორირებით ეძებს პოლიტიკურ სარგებელს. ამავე დროს მრცხვენია, რომ ჩვენს პატარა დელეგაციას ბევრის არაფრის გაკეთება შეუძლია და ვერც დაგპირდებით, რომ რაიმეს შევძლებთ. თუმცა, გვესმის და ვითავისებთ თქვენს ტკივილს. რა თქმა უნდა, ჩვენ მცდელობას არ დავაკლებთ, მაგრამ ეს ჰგავს რძეში ჩაგდებული ბაყაყის ფართხალს, რომელიც ამ ძალისხმევით კარაქს დღევებს. ამდენად, რაღაც იმედს მაინც ვიტოვებთ, მაგრამ ეს არაა გარანტია, ეს არ არის კონკრეტული პრობლემის უცილობელი გადაწყვეტა“.

სტუმარი დაეთანხმა თამაზ ნადარეიშვილს, რომ აფხაზეთის კონფლიქტი ეთნო–პოლიტიკური ხასიათისაა. აფხაზეთის უზენაესი საბჭოს დეპუტაციის სახელით მას გადაეცა მასალები აფხაზეთში ომის შემდგომი პერიოდის ქართველების მიმართ ჩატარებული გენოციდის შესახებ. სერგეი კოვალიოვი დაინტერესდა, როგორ ესახებათ დეპუტატებს რუსეთის სამშვიდობო ძალების გაყვანის შემდეგ კონფლიქტის მოწესრიგება. თამაზ ნადარეიშვილმა თქვა, რომ ეს ძალები 8 თვის განმავლობაში არ იყვნენ განლაგებული, მაგრამ სოხუმის აღების შემდეგ ურთიერთდაპირისპირებულ მხარეებს შორის არ გაგრძელებულა ომი. მან აღნიშნა, რომ არსებობს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის რამდენიმე გზა: „ერთი, სამხედრო გზით და ამას საქართველოს ძალები შესძლებენ, მეორე, მანდატის შეცვლა და სხვა საერთაშორისო ორგანიზაციების ძალების ჩაყენება დაპირისპირებულ მხარეებს შორის და მესამე, ისევ ამავე ძალების ამოქმედება ლტოლვილთა შეყვანა გალის რაიონში, სადაც მხოლოდ ქართული მოსახლეობა იყო და ახლა თითქმის დაცარიელებულია. სამშვიდობო ძალების გადაყვანა მდინარე ღალიძგაზე ეს იქნება პირველი ეტაპი. შემდეგ ეტაპობრივად, თანდათან მოლაპარაკებების გზით აფხაზურ მხარესთან ლტოლვილების შეყვანა სხვა რაიონებშიც, საიდანაც ისინი გამოდევნილი არიან, ხოლო სამშვიდობო ძალებიც ეტაპობრივად გადავლენ მდ.კოდორიდან მდინარე ფსოუმდე და ამგვარად სრულად შეასრულებენ თავის სამშვიდობო მისიას“.

ზურაბ ერქვანიამ კი ილაპარაკა სხვა მოდელზეც, როდესაც საქართველოს სამხედრო ძალები სამშვიდობო მისიით საერთაშორისო დამკვირვებლების, მათ შორის რუსეთის, მეთვალყურეობის ქვეშ ასევე ეტაპობრივად შევლენ აფხაზეთის ტერიტორიაზე, აღადგენენ საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას და დააბრუნებენ დევნილებს. სხვათაშორის, აღმოჩნდა, რომ ეს მოდელი მისაღებია არა მხოლოდ აფხაზეთის უზენაესი საბჭოსათვის, არამედ პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის“ მოშიმშილე დეპუტატებისათვის. სერგეი კოვალიოვის მათთან შეხვედრა გულაგის ერთი ზონიდან მეორე ბანაკში გადაყვანილი პატიმრების შეხვედრას ჰგავდა. მოშიმშილე დეპუტატებმა ცალ–ცალკე თავი წარუდგინეს სტუმარს და აფხაზეთის პრობლემის თავისი ხედვაც შესთავაზეს.

ვახტანგ ყოლბაია: „ჩვენ ვიცით, რაც ხდება რუსეთში და როგორ გავლენას მოახდენს ეს საქართველო – რუსეთის ურთიერთობებზე. ვისაც აქ ხედავთ, ჩვენ შეგვიძლია ამ ურთიერთობებში სასარგებლო წვლილი შევიტანოთ“.

გერმანე ფაცაცია: „მადლობელი ვარ, რომ ჩამოხვედით. იცოდეთ, უპირველესად ღმერთმა გადაარჩინოს რუსეთი თავისი უბედურებისგან. ჩვენ რუსეთიდან შველას არ ვითხოვთ და არც ველოდებით. რუსეთს არა აქვს თავმოყვარეობა, არა აქვს არც რწმენა. ეს არის ფსევდო ქრისტიანული სახელმწიფო. რუსეთმა დაკარგა სინდისი, ხელისუფლების იერარქიის ყველაზე დონეზე სინდის–ნამუსისგან არის წარწყმედილი და ამით რუსეთმა დაკარგა ადამიანობა. მე–9 დღეა ვშიმშილობთ და ჩვენი აქცია სწორედ რუსეთის პრობლემას ეჯახება. თქვენ ღირსეული ადამიანი ხართ, იქონიეთ გავლენა რუსეთზე“.

ბია გვაზავა: „კარგია, რომ ჩამოხვედით, მაგრამ ჩვენ თქვენ დიდი ხანია გელოდით, ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც აფხაზეთის კონფლიქტი დაიწყო. მე ახლა გეტყვით იმას, რაც თქვენც იცით: აფხაზეთის კონფლიქტი იყო არა ეთნიკური, არამედ პოლიტიკური და მისი ინსპირატორი იყო რუსეთი. ახლაც, ის მშვიდობის ჯარები, რომლებიც იქ დგანან, არიან ოკუპანტები. მათ გაავლეს საზღვარი აფხაზეთსა და დანარჩენ საქართველოს შორის. როდესაც თქვენი ჯარები გავლენ, საერთაშორისო ძალების პატრონაჟის ქვეშ ჩვენ შევალთ გალის რაიონში, რადგან ეს ეთნიკურად ქართული ტერიტორიაა და შემდეგ, შუამავლის გარეშე დავეჯდებით მოსალაპარაკებლად აფხაზებთან. მე სეპარატისტებს და არძინბას არ ვგულისხმობ. დარწმუნებული ვარ, როდესაც პირისპირ ვილაპარაკებთ, ის გადაუწყვეტი პრობლემები, რომლებიც ახლაა, დარწმუნებული ვარ, იოლად გადაწყდება. რაც შეეხება რუსეთს, ჩვენ მასთან როგორც ვმეგობრობდით, ისე ვიმეგობრებთ, მაგრამ სჯობს აფხაზეთის საკითხში თავი დაგვანებოს, ჩვენ მაინც დავბრუნდებით და მაშინ ეს იქნება მუდმივი ომი. თუ ეს ვინმეს აწყობს, მაშინ უკვე სხვა საკითხია. როგორ შეიძლება რუსეთს ჰქონდეს სამშვიდობო მანდატი ჩეჩნეთისა და ტაჯიკისტანის ოპერაციების შემდეგ?

ანზორ წოწონავა: რუსეთში გონიერებამ უნდა აჯობოს რაღაც ჯგუფების უგნურებას, თორემ მე პირადად აღარაფერი მაქვს დასაკარგი. ჩემს მოხუც მშობლებს ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში – რა გულით უნდა ველაპარაკო მათ?

ბორის კაკუბავა: ჩვენ სახელმწიფოს შიგნითაც ბევრი პრობლემები გვაქვს. თქვენ რამდენიმე დღეში, ალბათ, გაეცანით მათ. მაგრამ ყველა უბედურება, რომელიც არა მარტო ჩვენ, არამედ მთელს კავკასიას დაატყდა თავს ეთნოკონფლიქტების სახით, რუსეთის ოინებისგანაა. ჩვენ არ გვსურდა უცებ გადაგვეჭრა ყველაფერი რუსეთთან და მთელი კავკასიიდან გაგვეყარა ისინი. გვინდოდა წესიერი, ნორმალური ურთიერთობები, მაგრამ არაფერი გამოდის. 4 წელია ვუცდით, რომ ჩვენი პრეზიდენტი რუსეთთან ერთად გადაწყვეტს ლტოლვილების დაბრუნებას, მაგრამ რა გამოდის? უფრო მეტი ხალხი ამოწყდა ლტოლვილობაში, ვიდრე მთელი ომის დროს. მე ვიბრძოდი იქ და ვიცი, ტყუილია, თითქოს ჩეჩნები და აფხაზები იბრძოდნენ ჩვენს წინააღმდეგ. არა, იქ იბრძოდა რუსეთი და მისგან ნაყიდი ხალხი. ჩვენ ერთი მოთხოვნით ვზივართ აქ – გაიყვანეთ რუსეთის ჯარები ოკუპირებული ტერიტორიებიდან! აქ მხოლოდ სამშვიდობო ძალებზე არაა საუბარი, არამედ ყველა სახის ჯარზე, რომელიც დგას აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში. სიმართლე რომ ვთქვათ, არა მარტო ეს ტერიტორიები, არამედ მთელი საქართველოა თქვენგან ოკუპირებული, მაგრამ ახლა ამას არ ვითხოვთ. გაიყვანეთ იქიდან ჯარი და მერე ნახავთ, რომ იქ არავითარი კონფლიქტი არ იქნება. თუ რუსები გავლენ, ომი არ იქნება, იქნება მშვიდობა. თუ სასწრაფოდ არ გადაწყვეტთ და არ შეასრულებთ იმ მისიას, რაც დაკისრებული გქონდათ, მაშინ ისე ამოგიფსკვნით კუდს კავკასიიდან, რომ ჩეჩნეთი მონაგონი იქნება. გააგრძელეთ ასე და ნახავთ, რუსეთის დასამარება აქ დაიწყება, ისე, რომ ვერასოდეს წამოდგება ფეხზე.

მალხაზ ბარამიძე: მე არქეოლოგი ვარ და 40 წელი აფხაზეთში ვიმუშავე. იქ არის ჩვენი უძველესი კულტურის ძეგლები. ახლა ანადგურებენ ყველაფერს, არქიტექტურულ ძეგლებს, ქართულ წარწერებს, სამაროვნებს. არის ჰააგის კონვენცია, რომელსაც საქართველოც შეუერთდა, კულტურული გენოციდის შესახებ. საჭიროა ამ მხრივაც ქმედითი ღონისძიებების ჩატარება. ამჟამად ნადგურდება სოხუმში საქართველოს აკადემიის ბაზა, სადაც უმდიდრესი არქივი და მასალაა შენახული. პოლიტიკური ასპექტი ჩვენი შიმშილობისა ჩემმა კოლეგებმა მოგახსენეს. მე კი ამიტომ ვზივარ აქ, რომ შეწყდეს კულტურული გენოციდი. ახალგაზრდა არა ვარ, მაგრამ სანამ გავძლებ, მანამდე აქ ვიქნები.

იგორ კაკუბა: მწამს, რომ რუსეთის გაყვანა ომს არ გამოიწვევს, 8 თვე ვიდექით ერთმანეთის პირისპირ და არაფერი მომხდარა. თქვენ, რუსები, არა მარტო ეხმარებოდით აფხაზებს, არამედ რუს სალდათსაც უბნევთ გონებას. წაიკითხეთ თქვენი ფსევდო–მეცნიერების, აკადემიკოსების – ტრაპეზნიკოვის, კრეჩეტოვის, ავსიანიკოვის ტვინის ნაყბლეტი აფხაზეთის ისტორიის და კულტურის შესახებ და მიხვდებით, რომ ყველა დონეზე მიმდინარეობს როგორც რუსების; ასევე აფხაზების დეზორიენტაცია.

სერგეი კოვალიოვმა მესამე ცხვირსახოცის ჭმუჭნა დაიწყო და „მამაო ჩვენოსავით“ გაიმეორა: „მე მრცხვენია“– და მოშიმშილეებს ახლა რუსეთის პრობლემებზე გადაუშალა გული: „თქვენ ამბობთ, რუსეთიო. დუმა არაა რუსეთი. არც კრემლია რუსეთი და არც „სტარაია პლოშჩადია“ რუსეთი. ეს ისევ საბჭოთა კავშირია, ისევ ძველი, საბჭოთა ნომენკლატურაა. ჩვენ არ ვეძებდით პრეზიდენტად ვაცლავ ჰაველს, ჩვენ ვეძებდით კარგ საოლქო კომიტეტის მდივანს. ვიპოვეთ და ამითაც ვცხოვრობთ. იმანაც რა ქნას, ისე მუშაობს, როგორც კარგ მდივანს შეეფერება და მე ელცინთან პრეტენზიები არა მაქვს, თავისი ცხოვრებისეული გამოცდილებით ცხოვრობს – მე კი ჩემით ასი ათასი კაცი გაყარეს მოსკოვიდან, კავკასიელი ეროვნების პირებიო. ახალი ეროვნება გამოიგონეს და თურმე მათ სხვა ადამიანებზე მეტად მიდრეკილება ჰქონიათ დანაშაულის ჩადენისკენ. რა თქმა უნდა, ნამდვილი დამნაშავეების ძებნას ცოდნა უნდა. ეს ინტერნაციონალური მოვლენაა და მათ სახეზე არ აწერიათ. ასე კი ადვილია – მუქი ფერის თმა და თვალები გაქვს, ცხვირიც ცოტა გრძელი და მორჩა, მიდრეკილება გაქვს დანაშაულისკენ. ან კიდევ გამოიგონეს ახალი ერთიანობა – რუსულენოვანი მოსახლეობა. არა რუსეთი ან რუსი, არამედ რუსულენოვანი ბაშკირებს უსვამენ თავზე ხელს. ეს ხომ საბჭოთა მოდელია, სტალინის მოდელი მან ომის შემდეგ დაიწყო რუსეთის, როგორც „დერჟავის“ შექმნა და ახლა ამ იდეის ალორძინება მიმდინარეობს. ახლა მე არაფერიც არ შემიძლია, კი დავწერ ყველაფერს, მაგრამ წერე და იკითხე, აზრი არა აქვს. აი, ესაა კარგი „ობკომი“, მათ სხვაგვარად არც შეუძლიათ და აქაც ხედავთ, თქვენს

გაგრძელება მე–6 გვ.



**საქართველოს ყველა მართლმადიდებელ ქრისტიანს**

*ჩვენ, საქართველოს პარლამენტის მოშიმშილე დეპუტატები აფხაზეთიდან, მოგმართავთ თქვენ, თანამემამულენო, რათა დიდმარხვის პირველ კვირაში, ყველას, ვისაც ამის შესაძლებლობა გაქვთ, ერთი დღე იშიმშილოთ, რუსეთის იმპერიიდან საბოლოოდ თავდასახსნელად, ტერიტორიული მთლიანობის აღსადგენად, ეროვნული შემწყნარებლობისათვის, ხორციელი და სულიერი განწმენდისათვის.*

*გვფარავდეს ღმერთი!*

*მოშიმშილე დეპუტატთა სახელით, აქციის ხელმძღვანელი*
*გერმანე ფაცაცია*

## ვნებათაღელვა განათლების სამინისტროსა და საპატრიარქოში

ბრძელდება კამათი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში რელიგიის ისტორიის სწავლების მეთოდიკასა და მიზანდასახულების შესახებ.

5 მარტს განათლების სამინისტროში გაიმართა თათბირი სამღვდელოების ერთი ნაწილის წარმომადგენლებისა და მათი თანამოაზრეების მონაწილეობით. იმსჯელეს საქართველოს საპატრიარქოს სასწავლო კომიტეტის თავმჯდომარის პროტოპრესვიტერ გიორგი გამრეკელის წინადადებაზე, რომ საპატრიარქოს საცენზურო კომიტეტმა შეამოწმოს ის ლიტერატურა, რომლის გამოცემასაც განათლების სამინისტრო აპირებს რელიგიის შემსწავლელი დისციპლინების სახელმძღვანელოს გრიფით, ვინაიდან სამინისტროს ეგიდით გამოცემული სახელმძღვანელოები შეიცავს მართლმადიდებელი ეკლესიისათვის მიუღებელ აზრებს. ყურადღება გამახვილდა ნუგზარ პაპუაშვილის დამხმარე სახელმძღვანელოს „რელიგიის კარიბჭის“ (რელიგიის ისტორიის შესავლის) ირგვლივ.

სასულიერო პირებმა აღნიშნეს, რომ წიგნში აღმსარებლობები არ არის განხილული ობიექტურად. ამჟღავნებს ეკუმენისტურ ტენდენციებს და ხელს ვერ უწყობს განათლების სისტემაში მართლმადიდებელი სარწმუნოების ქადაგებას. მათი აზრით, სკოლებში საღმრთო რჯული უნდა ისწავლებოდეს. მკრეხელური სახელმძღვანელოების ავტორებს კი ანათემა გამოეცხადოთ.

განხილვა მეორე დღეს საქართველოს საპატრიარქოს საგარეო საქმეთა განყოფილებაში გაგრძელდა. სხდომას განყოფილების გამგე და სემინარია–აკადემიის რექტორი ეპისკოპოსი აბრაამი უძღვებოდნენ. ესწრებოდნენ განსახილველი წიგნის ავტორი და ოფიციალური რეცენზენტები: მღვდელი ვახტანგ ასათიანი და პროფესორი ზურაბ კიკნაძე. მათ უარყვეს წაყენებული ბრალდებები, დაადასტურეს თავიანთი მართლმადიდებლური მრწამსი და ხაზი გაუსვეს სახელმძღვანელოს პროფილს, – სხვადასხვა რელიგიური სისტემის ობიექტურ მიმოხილვას. თქვეს, რომ წიგნში ყველაზე დიდი ადგილი დათმობილი აქვს მართლმადიდებლობას, მისი დოგმატები გადმოცემულია ზუსტად და ყოველი მონაკვეთი ამ სარწმუნოების პატივისცემითაა შთაგონებული.

დებატმა მწვავე ხასიათი მიიღო. თავმჯდომარე და თათბირის მონაწილეთა უმრავლესობა უფრო მეტად გაღიზიანდნენ რა მოპასუხეთა გამოსვლებით, გადაწყვიტეს: მიმართონ კათალიკოს–პატრიარქ ილია მეორეს შუამდგომლობით, რათა მან საჯაროდ დაგმოს ეს სახელმძღვანელო და რეცენზენტი მღვდელი ვახტანგ ასათიანი გაასამართლოს სჯულის კანონის შესაბამისად.

ჩვენი ინფორმაცია

## XI კლასელებისა და აბიტურიენტებისათვის

## სკოლაში შესასწავლი ქართველი მწერლები

# დავით კლდიაშვილი

## ცხოვრება და მოღვაწეობა

ნოდარ გრიგალაშვილი

რამდენადაც სათნო და ღვთისნიერი ქალი იყო დავით კლდიაშვილის დედა კესარია ლოლობერიძე, იმდენად უცნაური და კოლორიტული პიროვნება ყოფილა აზნაური სამსონ კლდიაშვილი. ამიტომაც ღირს ორიოდე სიტყვით ამ პიროვნებაზე შევაჩეროთ ყურადღება.

1908 წელს დავითს დედა გარდაეცვალა. მამამისმა მეორე ქალი შეირთო, რის გამოც დავითს ერთი ხანობა მამასთან ურთიერთობა გაუწყვეტია. მწერალს ეხუმრებოდნენ თურმე,. „სამანიშვილის დედინაცვალი" საკუთარ თავს უწინასწარმეტყველეო. ახირებული სამსონის ხელში ორ კვირაზე მეტს ვერ უცოცხლია დავითის დედინაცვალს. სერგო კლდიაშვილი უამრავ უცნაურ საქციელს იგონებს სამსონის ცხოვრებიდან.

როცა 9 წლის დავითი ოჯახს მოგლიჯა და შორეულ რუსეთში გაისტუმრა, ატირებული კესარიასთვის სამსონს უყვირია, ან კაცი გამოვიდეს, თუ არა და ჯანდაბას მისი თავიო.

სამსონი დიდად მომლხენი, ჭკვიანი, მოხერხებული და თავისქეიფა კაცი ყოფილა. ერთხელ, ქუთაისში, ბულვარში სასეირნოდ გამოსულს თავისი ყოფილი უფროსი დაუნახავს, რუსი ჩინოვნიკი, რომელმაც სამსონი სამსახურიდან გაანთავისუფლა. დატაკებია აზნაური კლდიაშვილი ჩინოვნიკს, ამოუდია ფეხქვეშ. ყვირილზე პოლიცია გამოქცეულა, მაგრამ სამსონი თვითონაც წაქცეულა, მიბეგვილი უფროსი ზემოდან შემოუგდია და ახლა თვითონ მოურთავს ყვირილი, არიქა, მიშველეთ, მომკლაო. საჩივარიც იქით აღუძრავს „დაზარალებულ" სამსონს და მისი ყოფილი უფროსი ქუთაისიდან გაუძევებიათ...

ქუთაისში სამსონს ვაჭრები მოუმდურებია, ისინი დაემუქრნენ და აზნაურმა კვლავ ხერხი მოიშველია. ქუთაისის მთელი დიდი ჩინოვნიკობა და თვით გუბერნატორი მთელი მისი კანცელარიით საქეიფოდ დაპატიჟა. დიდი ლხინი. გადაიხადა. როცა შუა ქეიფში იყვნენ, კაცები გაგზავნა მომდურავ ვაჭრებთან, გუბერნატორი საჩქაროდ გიბარებთო, ვაჭრები მივიდნენ და ხედავენ – ღვინონასვამი გუბერნატორი სამსონს ეხვევა. ამის შემდეგ ვაჭრებმა ისევ შერიგება არჩიეს... მრავალი ასეთი უცნაური და სამხიარულო ამბავი გადახდენია თავს აზნაურ სამსონ კლდიაშვილს.

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №19,20,21,22,23.

ჩვენი საუკუნის 30-იანი წლებია. სიმონეთში, მამა-პაპეულ სახლში ზის ორი მოხუცი, მამა და შვილი სამსონ და დავით კლდიაშვილები და იხიზმრებენ წარსულს. მამა უფრო ყონჩად არის, უფრო იმედიანად, მხიარულად. დავითი ჯანგატეხილია, მოწყენილი, მარტოობით შეწუხებული. დროდადრო დავითი სამსონისა და მისი ძველი მეგობრების საუბარს უგდებს ყურს და ერთობა ძველი, ტიპიური აზნაურების ტრაბახით. სერგო კლდიაშვილის მოგონება: – „დავითის მამას, ბაბუა სამსონს, სიმონეთში ძველი მეგობარი ესტუმრა. მაღალი, ტანწვრილი, გრძელწვერა აზნაური, ჩოხა ქამართან გაცრეცილი, რუსული ჩექმები. ქამარი ოდესღაც ვერცხლით მოჭედილი ჰქონია. ახლა უმეტესად ტყავი დარჩენილა...

მრავალი წელიწადია ბაბუა და მისი სტუმარი ერთმანეთს იცნობენ! წარსულში რამდენი ტკბილი დღე ახსოვთ!

ბაბუა სამსონი მეგობარს გვერდით უზის, უმასპინძლდება, ღვინოს უსხამს და უამბობს:

– არაფერი მაკლია ჩემო სიმონ... აქ შემომხედენ, რომ კარგად გახსოვარ მე, სამსონ კლდიაშვილი? ჰო და, ახლა უფრო უკეთესად ვარ. სავსე ვარ ყველაფრით!

ბაბუა სამსონი პირდაპირ ზღაპარს უამბობს თავისი ვენახის, ყანების, ციცქასა და კრახუნას ღვინით სავსე ქვევრების შესახებ.

მეგობარიც ცდილობს გაახაროს ბაბუა სამსონი:

– ვერც მე დავემდურები ღმერთს, ჩემო სამსონ. შვილებმაც ძალიან შემიწყს ხელი. ისე ვცხოვრობ, რომ ჩემთან მოსვლა გესიამოვნება. ასი კაცი რომ უეცრად მესტუმროს, მეზობლისას ერთი ჭიქის სათხოვნელადაც არ დამჭირდება გადასვლა, მე გეტყვი არ მაქვს: ორივე დიდხანს ტრაბახობს. სვამენ ერთმანეთის სადღეგრძელოს, წარსულს იხსენებენ და ერთმანეთს ულოცავენ კმაყოფილ ცხოვრებას.

– დათიკო, დაღლილი ხარ, მოისვენე! – ეუბნება ნასადილევს დედაჩემი.

– ცოტა ხანს კიდევ, ცოტა ხანს! – არ დგება მამა, ასე მგონია, ჩემი მოთხრობიდან მესტუმრენ!..

დახრილი თავი გრძელი თითების სვეტებზე დაუნდვია და თვალდახუჭული უსმენს ორი მოხუცი აზნაურის საუბარს".

დროს თავისი მიაქვს, დავითი სრულიად მოტყდა, დროდადრო მახსოვრობას კარგავს, თვალის ჩინი სრულიად დაუქვეითდა. გაუსაძლისი მარტოობის განცდა აქვს. ყველა წუხილი, რაც ოფიცრის მუნდირმა მოუტანა, გონებაში უფუთფუთებს. ომები, გზებზე თრევა, სროლა, დაჭრა, სისხლი, კაცთა კვლა. აი, მოგონებები, რომელნიც ხორცმეტივით შეთვისებიან მის ღრმად მგრძნობიარე და ჰუმანურ ბუნებას. მარტო ვერ რჩება, მარტოობას ვერ იტანს, ბავშვობის მეგობრები, გლეხკაცები აკითხავენ და მხიარულ ამბავთა გახსენებით ცდილობენ გაუქარვონ გაუსაძლისი სევდა. ღამით, მარტო დარჩენილს, როცა მარტოობის გრძნობა მოეძალება, პირდაპირ გულიდან ამოდის მაღალი, ძლიერი ხმა, ყვირის, ყვირის გაბმით, გუგუნით.

„როცა ერთხელ ვკითხე, რად ყვირის ასე უცნაურად – იგონებს დავითის ვაჟი სერგო – გულაჩუყებით მითხრა:

– მარტო ვარ!

მერე გაკვირვებით შემომხედა.

– მე რომ არ მესმის ჩემი ხმა?"

უცნაურია ადამიანის ბედი, ძნელია გამოიცნო წერა-მწერლის ჩანაფიქრი, ძნელია მიხვდე იმას, თუ რა უნდა სტანჯავდეს ყველასაგან პატივცემულ, ბედნიერ, მოხუცებულ, ცოლისა და შვილების სიყვარულით გულსავსე კაცს. სიყვარულით მცხოვრები და სიყვარულით დაბერებული, რატომ უნდა გრძნობდეს ასეთი კაცი თავს მარტოდ, ქარისაგან ხეს მოგლეჯილი ფოთოლივით განაპირებულად. რა სტანჯავს, რა უწეწავს სულს ადამიანს?

იქნებ სინდისის ის მწარე ქენჯნა, რომელმაც 9 მარტის დაწყევლილ დღეს ცხოვრებისაგან მტრის ჯარში გადაგდებულ დავითს ათქმევინა, – „ოხ, რა ტანჯვა გამოვიარე!" მოხუცებული დავითი ხედავს, ამ სატანჯველს გადის მისი შვილების თაობაც. ეს თაობაც სხვისი მუნდირით არის „დამშვენებული". მისი ღირსებაც სხვამ უნდა შეაფასოს. სხვამ უნდა უბრძანოს, უკარნახოს, სხვამ უნდა მოსთხოვოს ერთგულება. ეს ახალი თაობა კიდევ უფრო უბედურია იმით, რომ იმის უფლებაც აღარ აქვს ხმამაღლა განაცხადოს – „ოხ, რა ტანჯვა გამოვიარეთ". მათ მხოლოდ ბედნიერებისა და კმაყოფილების გამომხატველი შორისდებულების წერისა და თქმის უფლება დაუტოვეს...

დავითის მდგომარეობა დღითი-დღე უარესდება. თვალის ჩინი სულ წაერთვა. სოფელში სტუმრად ჩასული სერგო კლდიაშვილი იმდენს ეცდება, ფეხზე წამოაყენებს. მხარში შეუდგება და ეზოში ჩაიყვანს. უეცრად დავითის თვალი ერთ წერტილზე მიჩერებული ჩერდება. ეს სულ ერთი წუთით გრძელდება. დაჟინებით იყურება პირდაპირ. მერე ისევ მოდუნდა და შვილს მიმართა:

– საკვირველი რამ მოხდა, სერგო. ჩემი ბრმა თვალებით ძალიან გარკვევით დავინახე ხეობა, მთები. რამდენი ხანია აღარ დამინახავს! მენატრებოდა და ვერ ვხედავდი. დავინახე, საკვირველად დავინახე. ერთხელ, ბავშვი ვიყავი, სწორედ ამ ადგილიდან დავინახე ის მთები, აი, იმ ბავშვის თვალით დავინახე ახლა. იმ დღეს რაღაც ბალახის სუნი ვიგრძენი და ახლაც სწორედ ის სუნი ვიყნოსე. პირდაპირ უცნაურობა მოხდა! მთელმა ჩემმა ცხოვრებამ თვალწინ გაირბინა. რამდენი წლისა ვარ ახლა? სამოცდაშვიდის? საკვირველია, როდის გავიდა ეს დრო, როგორ გავიარე ეს ცხოვრება! როდის მოვხუცდი!

მეტი აღარ დაუნახავს დავითს მთები. ამის შემდეგ მისი თვალი, ასე უეცრად რაღაც საკვირველებით განათებული, ისევ უძლური გახდა. ეს მხოლოდ წუთის საქმე იყო. ეს წუთი აღარასოდეს განმეორებულა.

1931 წლის 24 აპრილს, დღის 12 საათზე დასრულდა სიცოცხლე დავით კლდიაშვილისა, კაცის, რომლის ნაღვაწისა და ნააზრევის გარეშე ქართული მწერლობის წარმოდგენა დღეს შეუძლებელია.

დავითის ცხედარი სიმონეთის გლეხკაცობამ გამოაცილა სოფლის ორღობეებს. „ხალხმა წაიღო მის კუბო თბილისისაკენ მიმავალ მატარებელში მოსათავსებლად. ამიერიდან მისი ჭირისუფალი საქართველო იყო".

# როცა ენას გვგლეჯდნენ...

## სტენოგრაფიული ანგარიში საქართველოს მწერალთა ღია კრებისა. 1978 წლის 11 აპრილი. თავმჯდომარეობს ნ. დუმბაძე

**გ.რ.აბაშიძე** – ამხანაგებო, სამწუხაროდ, ძალიან უწესრიგო კრება გამოვიდა ამ სერიოზულ საკითხზე. ჩვენ გვინდოდა, რომ ყველა მწერალი გამოსულიყო, ყველას აზრი მოგვესმინა. ეს კრება იმიტომ დაინიშნა გუშინ, რომ ამხანაგ შევარდნაძემ გვთხოვა – მოუსმინეთ მწერლებს, ჩამოაყალიბეთ წინადადებები და ჩვენ ყველა ამ პუნქტებს მივიღებთო, ჩვენ 18 კაცი ვიყავით ცენტრალურ კომიტეტში, 18 პრეზიდიუმის წევრი. ბავშვები არ იყვნენ. არავის არავიზე ნაკლებ არ აინტერესებდა ეს საკითხი.

მოხდა ის, რომ ჩვენ ვერ შევძელით არამწერლებისაგან, ე.ი. სეირისმაყურებელი ხალხისაგან როგორმე გავცალკევებულიყავით ასეთ სერიოზულ საკითხზე, მართლაც და, ისტორიული მნიშვნელობის საკითხზე. აქ ზოგიერთებს ჰგონიათ, რომ ვიღაცას არ ესმის ამის მნიშვნელობა, ერთს სტკივა გული და სხვას არა. ასე არ არის, ჩვენ როდესაც მივდიოდით ამხანაგ შევარდნაძესთან, ყველამ მოვითათბირეთ, რომ დაგვეცვა ქართული მწერლობის პოზიციები და ქართულ მწერლობას სხვა პოზიციები არ გააჩნია, გარდა ქართული ენისა, ამაზე ლაპარაკი უხერხულია და მტკიცება, რომ ვიღაცისათვის საჭიროა ქართული ენა და ვიღაცისათვის არა. ღმერთმა დაგვიფაროს ასეთისაგან.

ამ ტრიბუნაზე რომ გამოვდივართ, ზოგიერთს ენა ტყდება და ამბობს „სსრკა". სირცხვილია, ამხანაგებო! ყველა კულტურული ხალხი ამბობს „ეს ეს ერ". მე მახსოვს კ.გამსახურდია გამოვიდა და შემოიტანა წინადადება, რომ ჩვენი ქართული ანბანის კვალობაზე შემოვიღოთ, როგორც ჩვენ ანბანს ვკითხულობთ „ან", „ბან", „გან" და ა.შ. ცენტრალური კომიტეტიც ასე წავიკითხოთ – „ცან კანი", და ეს არ შემოვიდა, მაგრამ როგორც ყველა კულტურული ხალხი ლაპარაკობს, ჩვენც ისე უნდა წარმოვთქვათ და დავანებოთ ამ „ალკკ"-ას და „სსრკ"-ას თქმას, სირცხვილია.

ახლა მე მინდა ორიოდე სიტყვა ვთქვა ნ.წულეისკირის გამოსვლის გამო. იმ პუნქტში, როცა მან შემოიტანა შენიშვნა, რომ არ არის დასახელებული ქართველი ხალხი და ანონიმურად არის დაწერილი, ის სწორია. უნდა ეწეროს ქართველი ერი, ქართველი ხალხი, ეს შენიშვნა სწორია, როგორც „საქართველოს ქალი" არ შეიძლება და უნდა იყოს „ქართველი ქალი", აბა „რუსეთის ქალი" გაგიგიათ ან „სომხეთის ქალი". ეს უნდა გასწორდეს.

რაც შეეხება ნოდარის გამოსვლის დანარჩენ ნაწილს, ბუნებრივია, ის გულწრფელად ლაპარაკობდა თავის ტკივილებზე, მაგრამ ზოგი რამ ვერ მოზომა, ძალიან გაამუქა და განსაკუთრებით კი ჩვენი საერთო ამხანაგის მიმართ გამოიჩინა არაკოლეგიალური დამოკიდებულება. აქ კაცი მოდის და გემსახურებათ, პატივი უნდა სცეთ. გ.ჟორჟოლიანი თავისი სურვილით კი არ მოსულა, პარტიამ დაავალა, მით უმეტეს, მას საკმაოდ კარგი თანამდებობა ჰქონდა. როცა მას ავალებდნენ აქ მოსვლას, ის წინააღმდეგი იყო, მან სთხოვა, ნუ გამიშვებთო, მაგრამ პარტიას დაემორჩილა. არ შეიძლება ასე ლაპარაკი. თქვენ იცით ნოდარ, რომ ეს მარტო ჩვენი მოგონილი არ არის. ჯერ კიდევ გორკის დროს იყო მწერალთა კავშირის მდივანი შჩერბაკოვი. ის არ იყო მწერალი, ახლა გახლავთ ვეშჩენკო (ნ.წულეისკირი – ძალიან ცუდია მერე, რატომ არის?). თქვენ გაქვთ თქვენი მოსაზრება, ეს მეორე ამბავია, მაგრამ კი არ უნდა გავლანძღოთ ადამიანი. ი.ჭავჭავაძეს თუ დააყენებ, ყველა გაიცინებს. ეს არ არის დაშვებული წესი, ეს აკრძალული ილეთია ბრძოლის, რომელიც არ უნდა იხმაროთ ამხანაგის მიმართ (გ.ჟორჟოლიანი – მე გეტყვი, სათქმელს გეტყვი ისეთს, რომ წითლდებოდე)... (ხმაური). მოითმინეთ! (ნ.წულეისკირი – უნდა თქვას რაღაც საიდუმლო, საინტერესოა).

(თავმჯდომარე – მოითმინეთ!).

გაგრძელება. დასაწ. იხ. „საქართველო" №4-23.

გაგრძელება იქნება

# სერგეი კოვალიოვი: სამჯერ ვიმეორებ — მე მრცხვენია, მე მრცხვენია, მე მრცხვენია!..

მეოთხე გვერდიდან

მმართველობაში, ამის მსგავს განწყობილებებს. ახლა რუსეთის ტელევიზია გვიღებს და ან არ გადასცემენ ამას, ან დაიწყებენ: აი, ისევ დაიწყო დასავლეთის აგენტმა თავისი ანტიპატრიოტული განცხადებებიო. რაც შეეხება თქვენს შიმშილობას, არაა ეს რეალური. გავა რუსეთის ჯარი და პროვოკატორები მოიძებნებიან, ვინც



**ანზორ ნონიკაშვილი: ჩემს მოხუც მშობლებს ბენზინი გადაასხეს და ცოცხლად დაწვეს საკუთარ სახლში. რა გულით უნდა ველაპარაკო მათ?**

ისევ დაიწყებს კონფლიქტს. ჯობდა მანდატის შეცვლა და სხვა ძალების, საერთაშორისო ძალების შემოსვლა. ამავე დროს მოლაპარაკებების გაგრძელება ყველა დონეზე".

მოშიმშილე დეპუტატები სერგეი კოვალიოვს არ დაეთანხმნენ. ბორის კაკუბავამ კი უთხრა: ჯობს დროზე გადაწყვიტონ საქმე, თორემ ზაფხულისთვის გენოციდის მოწყობა როგორია, გაჩვენებთო. გია გვაზავამ კი ჰკითხა, სად იყო მაშინ რუსეთის სინდისი, როდესაც აფხაზეთში მშვიდობიან მოსახლეობას წყვეტდნენო. სტუმარმა ხელები გაშალა და ვერაფერი უპასუხა. ბოლოს მშვიდობიანად დაემშვიდობნენ ერთმანეთს. იქეთ ნერვებაშლილი კოვალიოვი ელენე თევდორაძეს წაჰყვა, აქეთ ასევე განერვიულებულმა მოშიმშილე დეპუტატებმა გადაწყვიტეს, დამთავრდეს ეს უაზრო სტუმრიანობაო.

ცოტა ხანში მოშიმშილე დეპუტატებმა სხდომა გამართეს, რომელზეც უნდა დაგეგმილიყო მომავალი, შიმშილობის მე-10 დღე.

*შევარდნაძის აზრით, მეტის მიღწევა დღეს არარეალურია*

**შიმშილობის მე-10 დღე. 11 მარტი. სამშაბათი**

საზოგადოებაში გავრცელებული იყო ინფორმაცია, რომ მე-10 დღეს მოშიმშილეებს შეცვლიდნენ აქციის სხვა წევრები, მაგრამ მათ უარი თქვეს და გააგრძელეს შიმშილობა. დღის 2 საათზე სასტუმრო „ივერიის" ფოიეში ბორის კაკუბავამ ჩაატარა საინფორმაციო მიტინგი. ლტოლვილები ითხოვენ შიმშილობის აქციაში მონაწილეობას, მაგრამ დეპუტატებმა ჯერჯერობით უარი განაცხადეს.

გერმანიის ბუნდესტაგის წევრმა, ეუთოს საპარლამენტო ასამბლეის ვიცე-პრეზიდენტმა, ვილი მილერმა წერილი გამოუგზავნა აქციის მონაწილეებს. წერილში იგი აცხადებს ყოველმხრივ დახმარებას და მხარდაჭერას მოშიმშილე დეპუტატების მიმართ და ბოლოს წერს: „საქართველოს აფხაზურ ნაწილში აუცილებლად უნდა დაბრუნდნენ საქართველოს სხვა რაიონებს თავშეფარებული ლტოლვილები".

აქციის მონაწილე, დეპუტატი თორნიკე ფიფია მიიღო საქართველოს პრეზიდენტმა. დეპუტატმა მას გადასცა აქციის მონაწილეთა მიმართვა. როგორც თორნიკე ფიფიამ თქვა, პრეზიდენტი ფიქრობს, რომ დღეს შეუძლებელია მთლიანად აფხაზეთის განთავისუფლება. ლტოლვილთა დაბრუნება უნდა მოხდეს ეტაპობრივად. რაც შეეხება „სამშვიდობო ძალებს" ისინი მდინარე ღალიძგაზე უნდა გადაინაცვლონ. მეტის მიღწევა დღეს არარეალურია, სხვაგვარად ეს გამოიწვევს ახალ დაპირისპირებას. პრეზიდენტი შეშფოთებულია აქციის ქუჩაში გატანით, სადაც იგი მიიღებს მასობრივ ფორმას. ეს დღევანდელ ეტაპზე დამღუპველი იქნება საქართველოსათვის. პრეზიდენტმა აღნიშნა, რომ ფსოუმდე გასასვლელად მას წელიწადნახევარი სჭირდება. რაც შეეხება მხარდამჭერ ქვეყნებს, პრეზიდენტმა ორიენტაცია შეიცვალა და ამბობს, რომ საქართველოს მხარდამჭერი მხოლოდ ჩეჩნეთია, რომლებიც ტუქსავენ აფხაზებს რუსული ორიენტაციის გამო.

გვიან ღამით ამერიკის შეერთებული შტატებიდან დარეკა პარლამენტის თავმჯდომარემ ზურაბ ჟვანიამ. იგი ძალიან შეწუხებულია მოშიმშილეთა ბედით. სამშობლოში პარლამენტის თავმჯდომარე შაბათს ბრუნდება. როგორც ამბობენ, სამშაბათს პარლამენტის სესია დაიწყებს აფხაზეთის საკითხზე მუშაობას.

**შიმშილობის მე-11 დღე, 12 მარტი, ოთხშაბათი**

შიმშილობამ თავისი გაიტანა, მალხაზ ბარამიძეს თითქმის სული სძინავს, სუსტადაა გენო კალანდია, გერმანე ფაცაციამ შესამჩნევად დაიკლო წონაში და მსუბუქ სიგარეტზე გადავიდა.

დღის 2 საათზე გერმანე ფაცაციამ და თორნიკე ფიფიამ საინფორმაციო მიტინგი ჩაატარეს. შეგროვილი ხალხი „ივერიის" ფოიეში არ დაეტია, მათ რესპუბლიკის მოედანთან გადაინაცვლეს. თორნიკე ფიფიამ მიტინგის მონაწილეებს წაუკითხა მიმართვა პრეზიდენტისადმი და ისაუბრა მასთან შეხვედრის შესახებ. მიტინგს დაახლოებით 2000 კაცამდე ესწრებოდა.

**მანანა იაშვილი**

## სასამართლო პროცესი „ბორჯომის ხეობაში" მომხდარ მკვლელობასთან დაკავშირებით

*საქართველოს პროკურატურის საგამოძიებო აპარატს ისეთი საქმეები ჰქონდა „წამოყენებული", რომ, შეიძლება ითქვას, მათ გმირობის ტოლფასი ვიქცეობა გამოიჩინეს. არავინ იცის, რა მოხდება ხვალ... მათ კი განსასჯელთა სკამზე ძალიან საშიში ძალები დასვეს..*

*ახლა სიტყვა სასამართლოზეა...*

12 მარტს უზენაეს სასამართლოში მოსამართლე იური ტაბუცაძის თავმჯდომარეობით, ე.წ. „ბორჯომის საქმის" სასამართლო პროცესის მორიგი სხდომა გაიმართა. განსასჯელებმა: თამაზ კურტანიძემ, გიორგი იობაშვილმა, მიხეილ სამსონაშვილმა და დავით გელაშვილმა, რომლებსაც ბრალად ედებათ ბანდიტიზმი, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შენახვა და მკვლელობა დამამძიმებელ გარემოებაში, მოსამართლის კითხვაზე, ცნობენ თუ არა თავს დამნაშავედ, ერთხმად განაცხადეს, რომ თავს დამნაშავედ არ ცნობენ... ხოლო არტიომ ხითარიშვილმა და გიორგი პეტრიაშვილმა კი ნაწილობრივ სცნეს თავი დამნაშავედ.

საყურადღებოა ის ფაქტი, რომ გელაშვილმა და ხითარიშვილმა აცილება მისცეს ადვოკატებს და მათი უფლებები თავიანთ თავზე აიღეს. მოსამართლის კითხვაზე, – რაიმე სხვა მიზეზი ხომ არ არსებობს ამგვარი აცილებისა, – გელაშვილმა უპასუხა, რომ ადვოკატის მოყვანამდე მას ერთი მუხლით ედებოდა ბრალი, ხოლო ადვოკატის მოყვანის შემდეგ კი, მეორე მუხლიც მიემატა.

საერთოდ, დღევანდელი სასამართლო პროცესი მთლიანად დაკითხვის ჩატარების რიგითობის დადგენას დაეთმო. პროკურორმა დავით ჯინჯოლავამ განაცხადა, – ვინაიდან განსასჯელები თავს დამნაშავედ არ ცნობენ, დავიწყოთ მათი დაკითხვა საბრალდებო დასკვნის დართვით (ცნობისათვის, საბრალდებო დასკვნა წაკითხულ იქნა 11 მარტს გამართულ სასამართლო პროცესზე). ამ საკითხზე თავიანთი მოსაზრებები ადვოკატებმაც გამოთქვეს, შემდგომ კი განსასჯელებმა:

თ.კურტანიძე: წამომიყენეთ ის მოწმეები, რომლებიც ბრალს დამდებენ და პასუხს შემდეგ გაგცემთ.

გ.იობაშვილი: პირველ რიგში დაიკითხოს მოწმე – თედიაშვილი.

მ.სამსონაშვილი: დაიკითხონ მოწმეები, დაზარალებულები და ბოლოს განსასჯელები.

დ.გელაშვილი: ჩემი აზრით პირველ რიგში ოფისის საქმეზე უნდა იყოს დაკითხვა, თორემ გავიყინეთ და ეს არის. ბოლო-ბოლო ეს ხალხი (დაზარალებულები და სხვანი) მაინც არ ივლის აქ დღეს.

არტიომ ხითარიშვილი: ჯერ დაიკითხონ დაზარალებულები, ხოლო შემდგომ მოწმეები და ჩვენ, განსასჯელები. იგივე აზრი გამოთქვა გიორგი პეტრიაშვილმა.

მოისმინეს რა განსასჯელთა მოსაზრებები, მოსამართლე ი.ტაბუცაძემ ბრძანა, რომ სასამართლო პროცესზე დაცულ უნდა იყოს როგორც დაზარალებულების, ასევე განსასჯელების უფლებები და ადგილი არ ექნება დაშინების, შეშინების ფაქტებს, რის შემდეგ სასამართლო გადაწყვეტილება მოგვახსენა იმის თაობაზე, თუ ვინ, რომელი მხარე დაიკითხება პირველად: I – დაზარალებულები, II – მოწმეები და III – განსასჯელები – ასეთია დაკითხვის რიგითობა. პროცესი, როგორც ჩანს, კარგა ხანს გაგრძელდება.

**ია ბუკოვსკაია**

## ამ უგზოობაში ერთადერთი გზაღა გვრჩება...

საქართველოს პრეზიდენტს
ბატონ ე.შევარდნაძეს

*დიდად პატივცემულო ბატონო ედუარდ!*

მეათე დღეა გრძელდება საქართველოს პარლამენტის ფრაქცია „აფხაზეთის" შიმშილობის „აბსურდის თეატრი". ჩვენი პროტესტი ყოველთა ქართველთა — წინაპართა და თანამედროვეთა — პროტესტია. პროტესტანტთა რიგებში ნომერ პირველ პროტესტანტად თქვენ მიგიჩნიეთ, ქვეყნისა და სახელმწიფოს პირველი პირი და, იმავდროულად, ცხადია, მოქალაქე. დიდმარხვაში გული არავის გვინდა ვატკინოთ, მაგრამ საქართველოს პრეზიდენტი შევარდნაძე, ჯერხნობით, ვერ არის სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობის გარანტი და, ამდენად, თქვენც, ჩვენი აქციის უშუალო თუ არა, ირიბი მონაწილე მაინც ბრძანდებით.

ის ფაქტი, რომ შიმშილობის მეორე დღეს გვეახლეთ, თანაბრად გვაძლევდა როგორც იმედის, ასევე, უიმედობის საფუძველს, მაგრამ მაინც საკმარისი იყო იმისთვის, რათა დაწყებული „თამაში" გაგრძელებულიყო, უკეთუ, ნებისმიერ თამაშს მაშინ იწყებენ, როცა მოგებისა და წაგების შანსები თანაბარია. მარტვილობის მეათე დღეს ვრწმუნდებით, რომ ეს შანსები ამჟამადაც თანაბარია, მაგრამ ჩვენ, როგორც ამ თამაშის ერთი მონაწილე მხარე, ვერავითარ შემთხვევაში ვერ დავასრულებთ მას საყაიმო შედეგით, ვინაიდან კარგად ვუწყით, რომ ასეთი შედეგი სასიკვდილოა ჩვენთვისაც, აქციის მონაწილეთათვის და, რაც უმთავრესია, დევნილი მოსახლეობისათვის, ვისთვისაც ვშიმშილობთ და ჩვენი ტერიტორიეგმოკვეთილი სამშობლოსათვის. ჩვენი აქციის ზემორეაღნიშნული შედეგით დასრულება გამოიწვევს საყოველთაო დეპრესიის, ეროვნული ნიჰილიზმის, პოლიტიკური და ზნეობრივი უბადრუკობა-სიბეჩავის დღეს უკვე საჩინო სიმპტომების გაღრმავებას, რომელთა ლიკვიდაციას თაობათა ენერგია დასჭირდება, რომელსაც ისინი ჩვენი, წინარე თაობების, მხოლოდღა წაგებითა და შეჩვენებით ვერ მოიპოვებენ. აწმყოთა და მომავალ თაობათა საუბედუროდ, იმგვარი პოლიტიკური ლანდშაფტი და გარემო მკვიდრდება, რომელშიც სამომავლო სახელმწიფოებრივი გენი ერთობ დაუძლურებულია და ამ უკანასკნელს ადაპტირებული. მსგავსი დასკვნის საფუძველს, ერთის მხრივ, გვაძლევს ჩვენი კოლეგების — პარლამენტარების — დუალისტური, ორმაგი მორალის სტანდარტებით, ანუ, მორალიზატორული მოქმედება, რაც არათუ სასურველ, არამედ, ვერანაირ შედეგამდე, გარდა ცუდისა, ვერ მიგვიყვანს და, მეორე მხრივ, პირველი მხარის ანუ თქვენი — პრეზიდენტის — რეაქცია, რომელსაც უფრორე დუმილის კვალიფიკაცია შეიძლება მიეცეს. მაგრამ, მოგვიტევოს უფალმა და გეტყვით, რომ ჩვენთვის დღეს არანაირი დუმილი არ არის ოქრო, ისევე როგორც, მჭერმეტყველებაც არ არის ვერცხლი.

ჩვენი მოთხოვნები თქვენთვის ადრევე ცნობილი იყო, ჩვენთვის უცნობი იყო მხოლოდ თქვენი მათდამი დამოკიდებულება, რაც დღემდე ასეთად რჩება და ეს გვაყენებს ჩვენ ისეთსავე მდგომარეობაში, როგორშიც ჩვენი დევნილი მოსახლეობაა. ამდენად, ჩვენ გვიღრმავდება იმის სამწუხარო რწმენა, რომ მოშიმშილე დეპუტატები ისევე განწირულნი ვრჩებით ღვთისა და ერის წინაშე, როგორც ისინი, ვისი ნების გამომხატველნიც ვართ. ზოგი ჭირი მარგებელია — უთქვამს ჩვენზე ბრძენ წინაპარს. ჩვენ, მსგავს მდგომარეობაში ჩავარდნილნი, მეტი ინტენსივობით ინტეგრირებულნი გავხდით ჩვენივე და ჩვენნაირ დევნილებთან და ისღა დაგვრჩენია, ყველასაგან მიტოვებულებმა ერთმანეთს შევაფაროთ თავი და ერისა და ქვეყნის, ნორმალური მსოფლიოსა და ღვთის წინაშე ერთად წარვსდგეთ ჩვენი კონსტიტუციური ნების, ჭეშმარიტებაზე პრეტენზიის პრეზენტაციითა და აღსრულების მოთხოვნით.

შიმშილობის ათი დღე იწურება, მოლოდინიცა და ენერგიაც გაილია და, როგორც აქამდე არავის ვემუქრებოდით, ახლა, მით უფრო, ძალაგამოცლილები, ვერვის დავემუქრებით.

უწინარესად, ჩვენს მიღმა მყოფი ხელისუფლება, — პარლამენტი და თქვენ — პრეზიდენტი ბრძანდებით, უფრო სწორედ, უნდა ბრძანდებოდეთ ჩვენი კონსტიტუციური ნების აღსრულების გარანტი და მისი აღსრულებისათვის ერთხელაც გთავაზობთ სრულად განკარგოთ დევნილთა პოტენციალი, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამ უგზოობაში, ერთადერთი გზაღა გვრჩება — თავადვე განვკარგოთ აღნიშნული პოტენციალი უკვე ულტერნატივო გზაზე, რომელზეც „მოძრაობის წესებს" თავადვე განვსაზღვრავთ.

ულრმესი პატივისცემითა და იმედით, აქციის მონაწილეთა სახელით, ფრაქცია „აფხაზეთის" თავმჯდომარე, აქციის ხელმძღვანელი

**გერმანე ფაცაცია**

## ტატიანა, ანუ ძალაუფლებისკენ სწრაფვა



„კლოდ შირაქი მამას სათვალეების ტარებას უკრძალავს", – ასეთი სათაურით „Общая газета"-ში დაიბეჭდა სტატია საფრანგეთის პრეზიდენტის ქალიშვილზე. „ელისეს სასახლეში ყველა მყისვე მიხვდა, რომ მასთან კამათი არ შეიძლებოდა. რაც შეეხება საზოგადოებრივ აზრს, იგი არაფრად დაგიდევს, დაინიშნება თუ არა რაიმე ოფიციალურ თანამდებობაზე პრეზიდენტის ქალიშვილი. „ფრანგებისთვის, პოლიტიკის ეფექტურობა პრეზიდენტის მრჩეველთა სახელებს კი არ უკავშირდება, არამედ რეალურ შედეგებს" – წერს გაზეთის კორესპონდენტი ვიტალი დიმარსკი. კლოდ შირაქით რუსული პრესის დაინტერესება გამოწვეულია იმით, რომ მას ხშირად ადარებენ ბორის ელცინის ქალიშვილს, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღვის მამის გამარჯვებაში 1996 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში.

„მახსენდება მწარე ღიმილი, რომლითაც მეორე ქალიშვილის დაბადებას შევხვდი. მართალი გითხრათ, იმედგაცრუებულად ვიგრძენი თავი. მხოლოდ მოგვიანებით მივხვდი, რაოდენი ბედნიერებაა იყო ორი ქალიშვილის მამა". ბორის ელცინი თვითონაც არ მოელოდა, რომ მისი სიტყვები ესოდენ ბევრისმანიშნებელი გამოდგებოდა. პრეზიდენტმა, მისდა უნებურად, ზუსტად „მოარტყა!" მამის საარჩევნო კამპანიის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი, შემდეგ პრეზიდენტის მრჩეველი, დღეს კი უზარმაზარი და განსაკუთრებული ძალაუფლების მფლობელი. ასეთია 37 წლის ტატიანა დიაჩენკოს გზა. მას არავითარი თანამდებობა არ უკავია, იგი უბრალოდ „პრეზიდენტის ქალიშვილია". მაგრამ, დადის ხმები, რომ სწორედ მისი კარნახით ძალიან ბევრმა კონსერვატორმა მოხელემ დასტოვა თბილი ადგილები.

„ყველაფერი ოფიციალური გზით ხდება, – ამტკიცებს ნაინა ელცინა, – ტატიანა აროდეს ცრუობს და მუდამ ეუბნება მამას იმას, რასაც სხვები არ ეუბნებიან". მაგრამ დღეს საქმეს ართულებს პრეზიდენტის შერყეული ჯანმრთელობა. ელცინს სულ უფრო და უფრო იშვიათად ხედავენ კრემლში. „ტატიანას არაფორმალური ძალაუფლება უსაზღვროა", – თვლის გაზეთ „Сегодня"-ს მიმომხილველი ტატიანა კალკინა, – ჯერ კიდევ ერთი წლის წინ არაფერი მოასწავებდა ტატიანა ელცინას, განათლებით მათემატიკოსისა და ორი შვილის დედის, პოლიტიკურ ასპარეზზე წარმოჩენას. 11 წლის განმავლობაში იგი „საფოსტო ყუთში" ანუ გასაიდუმლოებულ ინსტიტუტში მუშაობდა და კოლეგებთან ერთად, ხელოვნური თანამგზავრების ტრაექტორიას აზუსტებდა. ახალგაზრდა ქალს ოჯახურ ფოტოებზე თუ მოჰკრავდით თვალს. გასულ გაზაფხულს კი, ტატიანა პრეზიდენტის მრჩეველთა საბჭოს სრულუფლებიანი წევრი გახდა და საარჩევნო კამპანიის სადავეები იგდო ხელთ. „სრულიად გამოუცდელი", „ადვილად სამართავი", – ასე ახასიათებენ ტატიანას რუსული გაზეთები. ამას ისიც ემატება, რომ პატრიარქალური რუსეთისთვის ძნელად წარმოსადგენია ქალი – სახელმწიფოს მეთაური.

**სოფი ლამბროჩინი**
(„პუენი", 1997)
ფრანგულიდან თარგმნა
გიორგი ეპიზაშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

# იყიდეთ, იყიდეთ, იყიდეთ რამე...

## ბინები

იყიდება 3 ოთახიანი ბინა, იტალიურ ეზოში ორ სართულიანი სახლის მე–2 სართულზე. ეზოდან ცალკე სადარბაზო, მაღალჭერიანი, ოთახების ფართი 60 კვმ ტელეფონით, წინამძღვრიშვილის 182. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34–30–71

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა. ფართობია 75 კვმ მაღალჭერიანი. ფასი 18500$ ტელ. 35–45–21 დათო, მანანა მის. წინამძღვრიშვილის 182 (ყოფილი ქავთარაძის)

იყიდება იტალიური სტილის II სართულიანი სახლის მე–2 სართულის III ოთახიანი იზოლირებული მაღალჭერიანი ბინა. ოთახების ფართი 60 კვ. მეტრია. ეზოდან ცალკე სადარბაზოა. ფასი 25000 დოლარი ტელ. 34–30–71

ვყიდი 5 ოთახიან ბინას სამსართულიანი აგურის შენობის მე–3 სართულზე. მთაწმინდაზე, ათარბეგოვის ქუჩაზე. ძველი რემონტით, კარგ მდგომარეობაში ტელ. 99–09–51

იყიდება 4 ოთახიანი ბინა საერთო ფართი 220 კვმ საბურთალოს ცენტრში, რემონტით, მანქანის სადგომით, ტელეფონით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 37–77–50

იყიდება სასწრაფოდ 4 ოთახიანი ბინა კარგად გარემონტებული ჩეხური პროექტის ნუცუბიძის IV მ/რ V სართულზე, ტელეფონით და ავტოსადგომით. ფასი 22000 დოლარი ტელ. 38–01–11

იყიდება 2 ოთახიანი ბინა გრიბოედოვის 15–ში თავისი სათავსოებით, ბინა მაღალჭერიანია, პარკეტით, სამზარეულო და აბაზანა კაფელში, ბინა გარემონტებულია. ფასი 15000 დოლარი ტელ. 93–73–48

იყიდება ოროთახიანი არასტანდარტული ბინა რუსთაველზე – გრიბოედოვზე 60 კვმ სამზარეულო და აბაზანა 20 კვმ იზოლირებული. სულ 80 კვმ იყიდება, ქირავდება ოფისზე ან მაღაზიაზე ან იცვლება მცირე ფართზე შესაფერისი დამატებით: საწყისი ფასი 40000$ ტელ. 93–50–52

იყიდება 3 ოთახიანი იზოლირებული ბინა, II სართულზე. შესასვლელი ეზოდან, მაღალჭერიანი. წინამძღვრიშვილის 182. ფასი 18500 დოლარი ტელ. 35–45–21 დათო ან მანანა

იყიდება 3 ოთახიანი ჩეხური პროექტის ბინა, 9 სართულიანი სახლის IV სართულზე. აქვს ლოჯი, ჰოლი, სამმხრივი აივანი. მიშენება 50 კვ/მ. არის მანქანის გასაჩერებელი ადგილი და ტელეფონი, მუდმივი ელექტრო დენით, მუდმივი წყლით. ბინა კაპიტალურად გარემონტებულია. მის. ორთაჭალა, კრწანისის ქ. №3ა კორპუსი, IV სართული ბინა 13. ფასი 30000$ ტელ. 72–22–22

იყიდება სასწრაფოდ 5 ოთახიანი მშენებარე ბინის კარკასი ვაკეში საცურაო აუზთან. 200 კვმ საერთო ფართით II სართულზე ფასი 36000 დოლარი ტელ. 29–18–57

იყიდება საკუთარი სახლი ნაძალადევის რაიონში, ბელეტაჟზე, აქვს დიდი ავტოსადგომი. ჩაპაევის I შეს. №11 (პატარა ბაზრის უკან). ფასი 20000 ლარი. ტელ. 66–43–10

იყიდება 2 ოთახიანი, კერძო ბინა ვერაზე. ყველა სათავსოთი, დიდი სარდაფით, ტელეფონით. ფასი 15000 დოლარი ტელ. 98–95–56

ვყიდი, ქალაქის ცენტრში, თავისუფლების მოედანთან, 7 ოთახიან კეთილმოწყობილ ბინას. საწყისი ფასი 130000$ ტელ. 99–61–33; 98–81–52

## სხვადასხვა

ფსიქოლოგიური ტესტების და ციფრობრივი ჰოროსკოპის დახმარებით შევისწავლით პიროვნულ თავისებურებებს მომავლის წინასწარმეტყველებისა. ფასი – 3 ლარი. ტელ. 99–79–26; 74–06–34

სასწრაფოდ იყიდება გინეკოლოგიური სავარძელი სრული აღჭურვილობით. ფასი შეთანხმებით. ტელ. 73–79–81 ვლადიმერ მოსიძე

პროფესიონალი მუსიკოსები გაგილამაზებთ სუფრას ქართული სიმღერებით ტელ. 66–92–65 იკითხეთ მერაბი და მალხაზი

დაგეხმარებით სამუშაო ადგილის მოძებნაში საზღვარგარეთ სხვადასხვა სფეროში. ტელ. 93–11–94 მის. რუსთაველის 16; I სართული. ფირმა „ინტერჯობ".

იყიდება ჰოლანდიური სამეული და ორეული სხვადასხვა სტილის, მასიური მუხა, ნატურალური ტყავით. ფასი 2800–3500 დოლარამდე. ტელ. 96–69–75

იყიდება ქაღალდი რუსული „KO-16" რულონებში. 100–დან 130 კილოგრამამდე. ფასი 1 კგ – 1 ლარი. ტელ. 96–69–75

იყიდება სასადილოს და სამზარეულოს ორიგინალური მაგიდები ოთხი სკამით, მასიური მუხა, ჰოლანდიური, ფასი შეთანხმებით ტელ. 96–69–75

იყიდება კოსმეტიკური სავარძელი, შესაძლებელია მისი სტომატოლოგის მიერ გამოყენებაც. ფასი 400 ლარი ტელ. 74–23–80

იყიდება ჩეხური ახალი გიტარა „იოლანა". ავეჯის ვიტრინა, კოსმეტიკური ფაიფურის 4 ცალი ფილა, მაცივარი „სმაიგე" კარგ მდგომარეობაში. ტელ. 72–40–57

იყიდება გერმანული მასიური მუხის ხის საწოლი გარნიტურის სრული კომპლექტი. ტელევიზორის დასადები ტუმბო – ვიტრინა (გერმანული). სარეცხის შესანახი ტუმბო (გერმანული). ტელ. 99–95–92

გაერთიანებული რესპუბლიკური პარტია სამძიმარს უცხადებს დავით სუთიძეს ვაჟის – **ზვიად სუთიძის** ტრაგიკულად დაღუპვის გამო.
პანაშვილი 13 და 14 მარტს.
დაკრძალვა შაბათს
15 საათზე.
ქ.რუსთავი, ლეონიძის
ქ. №14

## ავტომანქანა

იყიდება „ტავრია" 1990 წლის გამოშვებული, თეთრი ფერის, დისტანციური სიგნალიზაციით, კარების დისტანციური ჩამკეტით, მაგნიტოფონით. ფასი 1500 დოლარი. ტელ. 39–82–02 ნათია

იყიდება მოსკვიჩ 412–ის პასპორტი და ნომრები, მანქანა გამოუყენებელია. ფასი 1000$ ტელ. 93–50–52

იყიდება გაზ–53 რვაცილინდრიანი, 27000 კმ გარბენით, ფასი შეთანხმებით ტელ. 22–09–84

იყიდება თეთრი ფერის ორკარიანი BMW 1984 წლის გამოშვება, ლუქით კარგ მდგომარეობაში, ფასი 3000 დოლარი. ტელ. 96–69–75

## ქირავდება

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, საბურთალოზე. I სართული, ოფისებისთვის. ფასი შეთანხმებით. ტელ. 38–83–18

ქირავდება 3 ოთახიანი ბინა, საბურთალოს ცენტრში, ავეჯით, 300 დოლარი ტელ. 38–01–11

ქირავდება 1,5 ბინა მეტრო პოლიტექნიკურთან, ერთ გოგონაზე, რომელიც იცხოვრებს დიასახლისთან ერთად. ტელ. 38–70–51; 38–26–88

ქირავდება გარაჟი ბოცვაძის ქ.№2, ვერაზე, ფასი შეთანხმებით. ტელ. 99–99–57

ქირავდება ოროთახიან ბინაში ერთი ოთახი (სასურველია ორი გოგონა ან ახალგაზრდა ოჯახი) გრიბოედოვის ქუჩაზე, ფასი 100$ ტელ. 99–78–11 ოლია

## მილოცვები

ჩვენს პატარა გიორგი სიხარულიძეს ვულოცავთ დაბადების დღეს!
გისურვებთ ჯანმრთელობას, სიხარულს, ბედნიერ და ნათელ მომავალს. გაზრდილიყავი სასახელო და საამაყო ქართველი.
დიდი სიყვარულით – **დეიდები**

ნათიკო, გილოცავთ დაბადების დღეს. გისურვებთ ლამაზ ცხოვრებას და ბედნიერებას. იყავი მუდამ გაღიმებული.
**ნათია, თამუნა, მაკა**

ზაირა, გილოცავ დაბადების დღეს! იყავი ჯანმრთელად და ბედნიერად ქმარ–შვილთან ერთად. მუდამ გაღიმებული ყოფილიყავი.
**მზია და თენგიზი**

ნათია თეაურს ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას და ბედნიერებას, სურვილების ასრულებას.
**მაკა, ნათია და თაკო**


**კომპიუტერზე მუშაობის შესწავლის მსურველთა საყურადღებოდ!**

განათლების სამინისტროს თბილისის ინფორმატიკის სასწავლო-მეთოდური ცენტრი გიწვევთ პერსონალური კომპიუტერის შემსწავლელ კურსებზე.
მსმენელთა განკარგულებაშია IBM- ის ტიპის პერსონალური კომპიუტერები 80486 პროცესორით, პროგრამული საშუალებები (MS DOS, Norton Commander, Windows, Word Excel და სხვა) და მეთოდური ლიტერატურა.
თქვენ შეისწავლით MS Officce პაკეტის გამოყენებას თანამედროვე ოფისში.
**კურსდამთავრებული მიიღებს შესაბამის სერთიფიკატს**
*მისამართი: იჭავჭავაძის I ჩიხი, №37 (კომპლექს „მზიურის" ტერიტორიაზე).*
*29-48-61; 29-48-60, 23-53-17 ფაქსი: 29-49-61*

**ვაქვეყნებთ უფასო განცხადებებს**

**დაგვირეკეთ ყოველდღე: 93–18–41**


## რა, როდის და რომელ არხზე

### ხუთშაბათი, 13 მარტი

8.00 „ალიონი". 18.00 „მოამბე". 18.10 მესაკუთრე. 18.25 „მერიდიანი". 18.45 ჰიგია. 19.05 „სპა". 19.30 აჭარა. 19.55 „50X50". 20.00 „მოამბე". 20.35 რეკლამა. 20.40 აუდიენცია. 20.50 „ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი". 21.05 „დღე". 21.20 „კასანდრა". 22.00 „ვესტნიკი". 22.25 მრავალსახეობა. 23.15 „ილია ჭავჭავაძე". 23.50 „ქვიშის საათი".

19.00 ინფორმაცია. მეორე არხი; 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა. ელიტარული ქრონიკა. „ინტერვიუ". 21.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.10 რუსული მხ.ფილმი „უფრთხილდი ავტომანქანას". პროგრამის დასასრულს – მუსიკალური გადაცემა „შვიდეული".

8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20.00, 2.05 ნოვოსტი. 11.15 გოგონა, სახელად ბედი. 11.55 სტალინის წინასწარმეტყველება. 12.50 მოგზაურთა კლუბი. 13.35 სმაკი. 14.15 საბავშვო მხატვრული ფილმი „სმოკი და პატარა ბიჭუნა" მე–2 სერია. 15.40 მულტფილმები. 16.10 კულტურა და ინტელიგენტურობა. 16.55, 23.40, 3.15 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მუსიკალური კარუსელი. 18.10 ჩუნგა–ჩანგას კუნძული. 18.40 ნიკო და მისი მეგობრები. 19.05 როკგაკვეთილი. 19.35 სამყაროს გარშემო. 20.20 „გოგონა, სახელად ბედი". 21.00 ამინდი. 21.05 პიკის საათი. 21.30 ჯენტლმენ შოუ. 22.00 სტალინის წინასწარმეტყველება. 22.45 ძილი ნებისა, პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „აუსტერლიცი". 2.15 სანრემოს ფესტივალი, ანუ მსოფლიო ესტრადის ვარსკვლავები მოსკოვში. 2.00 პრეს–ექსპრესი. 3.20 კრეკერის მეთოდი.

9.00 დილის ექსპრესი. 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 ტი მარკეტი. 10.20, 3.00 ტელემაღაზია. 10.25 ტელესერიალი ხენდრო. 10.55 ძვირფასო რედაქციავ. 11.20, 12.55, 13,55, 2.50 პროდუქცია ფოსტით. 11.30 საკუთარი თავის რეჟისორი. 12.05 სანტა–ბარბარა. 13.25 საქმიანი რუსეთი. 14.10 რუსები. 14.25 დოკუმენტური ფილმი. 15.45 თქვენი პარტნიორი. 15.50 ავტოგრაფი. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი „ტურბინების დღეები". მეორე სერია. 17.45 ტელესკოპი. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 საუკუნის ზღურბლზე. 19.05 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ–ტამ ნოვოსტი. 20.00 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 21.10 ჭეშმარიტების მომენტი. 21. 40 რუსები. 22.35 საკუთარი თავის რეჟისორი. 23.15 სანტა–ბარბარა. 00.10 ხვალის ამინდი. 00.15 საღამო მშვიდობისა. 1.30 წმინდა პეტერბურგული რევოლუცია; 2.10. გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 2.25 თქვენი წერილების პასუხად.

### პარასკევი, 14 მარტი

8.00 ალიონი. 18.00 „მოამბე" 18.10 ანიდან ჰოემდე. 18.25 ირაო. 18.55 „50X50". 19.55 რეკლამა, ანონსი. 20.00 „მოამბე". 20.35 რეკლამა. 20.40 აუდიენცია. 20.50 „ბასტი–ბუბუს მულტი–პულტი". 21.05 ასპარეზი. 21.15 პრესსტუდია. 22.00 „ვესტნიკი". 22.20 ლატარია ყველასათვის. 22.50 ტელე–სინე–ვიდეო. 23.50 ქვიშის საათი.

19.00 ინფორმაცია მეორე არხი. 19.20 მულტფილმები, სპორტული გადაცემა, 8 1/2. 22.30 სარეკლამო ბლოკი და „ინფორმაცია მეორე არხი". 22.30 მხატვრული ფილმი „ინტერვიუ ვამპირთან" პროგრამის დასასრულს მუსიკა.

8.00 დილა მშვიდობისა. 11.00, 14.00, 17.00, 20,00, 1,15 ნოვოსტი. 11.15 „გოგონა, სახელად ბედი". 12.00 სტალინის წინასწარმეტყველება. 12.50 სანამ ყველა შინაა. 13.25 დაუკარ გარმონო! 14.15 საბავშვო სეანსი. 15.40 ჯენტლმენ–შოუ. 16.10 კულტურა და ინტელიგენტურობა. 16.55, 23.40, 3.35 გადაცემათა პროგრამა. 17.20 მულტსერიალი. 17.45 მხატვრული ფილმი „ფიფქია". 19.20 როგორღაც ერთხელ... 19.30 მაგია: ზებუნებრივი სამყარო. 20.20 „გოგონა სახელად ბედი". 21.10 ამინდი. 21.15 ადამიანი და კანონი. 21.45 პოლე ჩუდეს. 22.45 ძილი ნებისა პატარებო! 23.00 ვრემია. 23.45 მხატვრული ფილმი „სცადე დამიჭირო!" 1.10 ვზგლიადი. 2.05 კინოკომედია „ახალი ოდეონი". 3.05 პრეს–ექსპრესი.

9.00 დილის ექსპრესი; 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 1.00 ვესტი. 10.15 სამედიცინო ცნობარი. 10.25 ტელესერიალი „ხენდრო". 10.55 ძვირფასო რედაქციავ... 11.20, 12.55, პროდუქცია – ფოსტით. 11.30 დ–კლუბი. 12.05 „სანტა ბარბარა". 13.05 ლე–მონტი. 13.30 საქმიანი რუსეთი; 14.05 რუსები. 14.10 რუსები. 14.25 ჭეშმარიტების მომენტი. 14.50 პალიხა, 14. 14.35 ავტოგრაფი. 15.00 კარაოკე რუსულად. 15.25 ბრძნული დანიშნულება. 15.55 უძრავი ქონების მაღაზია. 16.25 მხატვრული ფილმი „ტურბინების დღეები", III სერია. 17.30 ვინც რუსეთში უნდა იცხოვროს... 18.00 რუსეთის ოქროს რუკა. 18.25 ექსპოვესტნიკი. 18.30 არენა სენსაციებისთვის. 19.15 ივანოვი, პეტროვი, სიდოროვი და სხვები. 19.55 ტამ–ტამ ნოვოსტი. 20.05 ლუკომორიე. 20.25 შეხედე საკუთარ თავს. 20.40 ტელესერიალი „ხენდრო". 21.10. ორმაგი პორტრეტი. 21.40 რუსები. 22.35 ლ–კლუბი. 23.10 სანტა–ბარბარა. 00.05 ხვალის ამინდი. 00.10 საღამო მშვიდობისა. 1.30 ღამის ექსპრესი. 2.10 გამორჩეულად მნიშვნელოვანი პერსონები. 2.25 ბილიკ–ნოტი.

# „Новая жертва“
## ანუ ვისი ბურთი ვის კარშია

*მეორე გვერდიდან*

მას ჟულიო თავისი შვილი ეგონა და ისე უყვარდა, როგორც საერთოდ მამას უყვარდა შვილი. მარსელომ მეორე შვილს მესამეც მიუმატა. მერე ანა გადაიყვარა და საკუთარი მეუღლის დალუპვის შემდეგ ცოლად შეირთო თავისი ცოლისდის კარმელას ბოზი ქალიშვილი იზაბელა. მართალია, ეს ქორწინება იძულებით მოხდა, მაგრამ მარსელოს მართლა უყვარდა იზაბელა. იზაბელა თხოვდებოდა დიეგოზე. ზუსტად ქორწინების დღეს, როცა საქორწინო კაბაში გამოწყობილ იზაბელას სტუმრები დაბლა სართულზე ელოდნენ, იგი შევიდა მარსელოს ოთახში და იავხორცა. დაინტერესებულმა პირებმა დიეგო თავზე წააყენეს ერთ სხეულად ქცეულ მარსელოს და იზაბელას. დიეგომ საცოლე გალახა და იქაურობა მიატოვა. ნათესავებმა მარსელოს კატეგორიულად მოსთხოვეს, გაუბედურებული იზაბელა ცოლად მოეყვანა და მარსელომ ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოიყვანა კიდეც. ამ ქორწინებით ჟუკომ ისარგებლა და მარსელოსგან განთავისუფლებულ ანაზე დაქორწინდა. მით უმეტეს, რომ ანამ საიდუმლო გაამხილა, საშუალო შვილი – ჟულიო – ჟუკოსი არისო. მალე მარსელომ გაიგო, რომ მისი ახალგაზრდა ცოლი მკვლელი და მოღალატე იყო. ჰო, სულ დამავიწყდა მეთქვა, ამასობაში იტალიიდან ჩამოვიდა გადახვეწილი და რომანა და თან ჩამოიყვანა თავისი საყვარელი ბრუნო, რომელიც შვილად ჰყავდა გაფორმებული, მარსელომ საშხარეულოში ბრუნოსთან შეისწრო თავისი ცოლი და ლამაზი სახე დანით დაუსერა, თვითონ კი საცხოვრებლად კვლავ თავის მამობილთან გადავიდა, სადაც მისი ყოფილი საყვარელი ანა და მისი სამი შვილის დედა (უფრო სწორად, ორის) ანა დიდი სიამტკბილობით ცხოვრობდა თავის ახალ ქმართან, მარსელოს ძმობილ ჟუკოსთან ერთად. მართალია, ჟუკოს ცოტა გუნება უფუჭდებოდა, როცა თვითონ, მისი ცოლი ანა და ანას ყოფილი საყვარელი და ორი შვილის მამა მარსელო ერთად საუზმობდნენ, სადილობდნენ, ვახშმობდნენ და ერთად ჭუკჭუკობდნენ, მაგრამ რა მეტი გამოსავალი ჰქონდა. ამასობაში მოხდა ისე, რომ მარსელოს ქალიშვილი კარინა ცოლად გაჰყვა ჟუკოს ვაჟიშვილს ტანიკუს. ისინი სულაც არ შეწუხებულან, რომ ორთავეს ჰყავდა საერთო ნახევარძმა ჟულიო. არც იმაზე მოუკლავთ თავი, რომ კარინას დედა და ტანიკუს მამა ცოლ-ქმარი იყვნენ. უფრო მეტიც, მარსელო ერთდროულად აღმოჩნდა თავისი ყოფილი საყვარლის მძახალი, ანა, თავისი საყვარლის მძახალი და საკუთარი შვილის დედამთილი.

სულ მალე ჟუკომ ცოლად მოიყვანა მშვენიერი ელენა. თავის მხრივ, ელენას ვაჟმა ცოლად მოიყვანა ჟუკოს ქალიშვილი იარა. ამჯერად ჟუკო აღმოჩნდა ერთდროულად თავისი შვილის მამაც და მამამთილიც, ხოლო თავისი სიძის სიმამრიც და მამინაცვალიც.

ფილმში გამოყვანილია ერთი მეძავი ქალიც, რომელმაც სადღაც მიატოვა თავისი შვილი. ამ ქალბატონს კატერია ჰქვია. მალე იგი შემთხვევით აღმოაჩენს თავის შვილს. სულ მალე კი გაირკვევა რომ კატერიას შვილის მამა ზებალაში ყოფილა.

კიდევ ერთი სიუჟეტური ხაზი და საბოლოოდ გვეცოდინება, ვისი ბურთი ვის ბადეშია. მარსელოს უფროსი ბიჭი ერთ მშვენიერ დღეს გამოაცხადებს ჰომოსექსუალისტი ვარ და ჯეფერსონი მიყვარსო. ჯეფერსონიც გულახდილად აღიარებს, ცისფერი ვარო და ეს ორი მშვენიერი ჭაბუკიც შეუღლდება. საბოლოოდ ამ საცოდავების გარდა, რომლებიც რეჟისორმა გაწირა სასიკვდილოდ, ყველანი კარგად არიან და მშვენიერი სახეები ბედნიერებით აქვთ გაცისკროვნებული. უკანასკნელი სცენაა სერიალის კიდევ ორი გმირის ირენის და დიეგოს ქორწინება. როცა ნეფედედოფალი ეპისკოპოსის თანხმობით ერთმანეთს კოცნიან, მათ ირგვლივ ვნებაგაღვიძებული წყვილებიც იგივეს იმეორებენ. მარსელო კოცნის ანას, ჟუკო – ელენას, ელენას ვაჟი – იარას, ტანიკუ – კარინას, დინეი – როზაულას, მარკუსი – თეკას, ხულიო – პატრისიას. მათ ფონზე განსაკუთრებით სასიამოვნოდ აღიქმება ახლადდაქორწინებული ჰომოსექსუალისტების სანდრინიოსა და ჯეფერსონის სიყვარულით აღსავსე გამოხედვა და ნაზი კოცნა.

ძვირფასო მკითხველებო და ბრაზილიური სერიალების თაყვანისმცემლებო, თუ ვინმე მაინც ვერ გაერკვა „მორიგი მსხვერპლის“ ურთულეს სიუჟეტში, გული არ დაგწყდეთ, ტელესერიალების ბუმი გრძელდება...

# კაიფვორდი



მთოლიარად: 1. „იორ"ში" მოყვანილი ბოსტნეული; 2. „გირი უნდა" ჩამოკიდო, ისე უნდა დაჯდე; 4. „დროის" ბაირაღი; 9. ერთად შეკრულან „ლუი და იზა"; 10. „ბოლო კი" აქვს, მაგრამ თავი უკეთესი საჭმელია; 11. ვითომ „დარდიანი" კაცი; 13. „მეტრიანი" ცნობა ჩვენი დაბადების შესახებ; 16. ჩვენი ბებიის, ბებიის ბებიის... შიშველი ბებია; 17. მოედინება ზლაზვნით; 20. „კაკაოს" მოყვარული კაცი; 21. ძილისპირული; 22. სასიამოვნო ქარი; 23. სწავლული კაცი, რომლის ფასი „ცენტია"; 25. „სულ კანი" დაგეწვება, ის თუ ამოიფრქვა; 27. „დღესასწაულის" სტუმარი „ნამიანი ცხვარი"; 29. „კოლას" სასწავლებელი; 30. „ზღარბის მატლია" და მაინც გემრიელია; 31. „დო"-ში დასველებული „ლარი" ყველასთვის სასურველია.

მდგომიარედ: 1. „ნუკრების" სანავარდო სოფელი კახეთში; 3. ნებით მოიყვან თუ ძალით, მაინც შენია... 5. სოფელი კახეთში, სადაც სულ „შრომაშია" ხალხი; 6. „ლუდას" საყვარელი ალკოჰოლიანი სასმელი; 7. „თითივით" გრძელი ყურძენი; 8. „სამი კინტოს" სასადილო; 12. ნათესაური კავშირი; 14. „სამთა" კავშირი სიმღერაში (რუს.); 15. დასტური; 18. „ონის" ძმაკაცი გერმანიაში; 19. „მარის შალში" გახვეული სამხედრო პირი; 21. რკინის ფეხსაცმელი ცხოველებისათვის; 23. „დანიანი" ხალხის ქვეყანა ევროპაში; 24. ყარაჩოხელთა საქციფო „ტრანსპორტი"; 26. მიცვალებული ქმარი, რომელსაც მისტირის ქალი (ქართ.კინოფ.).

ნუნუ ლოლაშვილი

# საქართველოში ყველაზე მცირერიცხოვანი ქართული გვარები

*ფრჩხილებში მითითებულია ის სამი პუნქტი, სადაც ძირითადად ცხოვრობენ აღნიშნული გვარის წარმომადგენლები*

# გ

გაბახაძე – 50 (რუსთავი – 15; გარდაბანი – 14; გურჯაანი – 11).

გაბეცაძე – 22 (გორი – 17; თბილისი – 4; თეთრიწყარო – 1).

გაბიძე – 22 (თბილისი – 14; ბათუმი – 3; გორი – 2).

გაბრომიძე – 21 (ბათუმი – 6; ჩოხატაური – 1; ხელვაჩაური – 14).

გაბუნიძე – 37 (გურჯაანი – 27; თბილისი – 7; დმანისი – 2).

გაგანიძე – 31 (თბილისი – 11; ბათუმი – 4; გორი – 3).

გაგელაშვილი – 20 (თბილისი – 10; რუსთავი – 4; თიანეთი – 1).

გაგვიშვილი – 45 (გორი –17; თბილისი – 15; გარდაბანი – 1).

გაგნაშვილი – 22 (ახმეტა – 21; ბოლნისი – 1).

გადიშვილი – 25 (მცხეთა – 11; კასპი – 7; თბილისი – 4).

გავაშვილი – 41 (თბილისი – 11; გარდაბანი – 9; ბათუმი – 6).

გათიაშვილი – 28 (გორი – 17; თბილისი – 7; რუსთავი – 4).

გათიკაშვილი – 41 (თბილისი – 13; რუსთავი – 3; ახალციხე – 1).

გაიკარაშვილი – 48 (რუსთავი – 16; რუსთავი – 1; თბილისი – 1).

გაიმარჯაშვილი – 27 (ახმეტა – 1; თბილისი – 1; საგარეჯო – 25).

გალავანიშვილი – 25 (გორი – 22; თბილისი – 3).

გალუმაშვილი – 22 (ახმეტა – 5; თბილისი – 17).

გამარჯობაშვილი – 44 (ქობულეთი – 43; ჩოხატაური – 1).

გამარჯობაძე – 24 (ბათუმი – 2; ქობულეთი – 22).

გამბარაშვილი – 29 (თბილისი – 14; რუსთავი – 7; გარდაბანი – 6).

გამხარაშვილი – 42 (თბილისი – 19; თელავი – 7; ლაგოდეხი – 7).

განგლიძე – 33 (ლაგოდეხი – 27; თბილისი – 3; რუსთავი – 2).

განდელიძე – 34 (ჭიდა – 15; ვანი – 1; ქობულეთი – 18).

განძიელი – 34 (გორი – 25; თბილისი – 6; მცხეთა – 1).

განჯაშვილი – 26 (საგარეჯო – 14; თბილისი – 7; მცხეთა – 3).

გარანაშვილი – 20 (მცხეთა – 16; თბილისი – 3; ოზურგეთი – 1).

გარდავაძე – 25 (თბილისი – 25).

გარსევანაშვილი – 25 (დუშეთი – 9; თბილისი – 4; ყვარელი – 12).

გარსიაშვილი – 33 (საგარეჯო – 16; თბილისი – 15; ქუთაისი – 2).

გარსიძე – 31 (თბილისი – 26; გორი – 1; ქარელი – 4).

გარჩაკუდაშვილი – 39 (ბაღდათი – 28; ქუთაისი – 8; ოზურგეთი – 1).

გაურაშვილი – 21 (თბილისი – 10; ახმეტა – 7; თელავი – 3).

გაფრინდაული – 32 (ახმეტა – 32).

გაძვერაშვილი – 25 (გურჯაანი – 29; თბილისი – 4; ყვარელი – 1).

გახუაშვილი – 32 (ახმეტა – 19; თბილისი – 8; დედოფლისწყარო – 2).

გახუტაშვილი – 24 (ახმეტა – 13; თბილისი – 6; დედოფლისწყარო – 2).

გეგელიძე – 47 (თბილისი – 25; თელავი – 8; ახმეტა – 6).

გეგენეიშვილი – 31 (თბილისი – 14; ქუთაისი – 7; ვანი – 5).

გედიანიძე – 29 (ბორჯომი – 27; გორი – 2).

გეთაშვილი – 47 (თბილისი – 11; გურჯაანი – 1; კასპი – 35).

გელაზარიშვილი – 24 (ბათუმი – 13; ახალციხე – 6; თბილისი – 5).

გელიკაშვილი – 27 (გურჯაანი – 16; თბილისი – 8; რუსთავი – 2).

გელუკაშვილი – 33 (გურჯაანი – 16; თბილისი – 14; რუსთავი – 1).

გელხვეიძე – 40 (ქუთაისი – 21; წალენჯიხა – 13; ბაღდათი – 3).

გელხუიძე – 40 (ქუთაისი – 19; ზესტაფონი – 10; ადიგენი – 5).

გენეტაშვილი – 21 (ზესტაფონი – 21).

გერგეშელიძე – 49 (თელავი – 28; თბილისი – 15; გურჯაანი – 1).

გერმესაშვილი – 23 (თბილისი – 23).

გეტაშვილი – 26 (თბილისი – 25; კასპი – 1).

გვარამაშვილი – 31 (გარდაბანი – 5; გორი – 3; თბილისი – 23).

გვარიძიშვილი – 43 (თბილისი – 26; საგარეჯო – 17).

გვარჯელაძე – 30 (ბათუმი – 19; თბილისი – 7; სამტრედია – 3).

გვიანაშვილი – 21 (თბილისი – 20; მცხეთა – 1).

გვიანაძე – 22 (საჩხერე – 14; თბილისი – 4; ლანჩხუთი – 1).

გვინჩიძე – 25 (თბილისი – 25).

გვრიტიძე – 38 (თელავი – 22; თბილისი – 5; გორი – 2).

გიაურაძე – 22 (ხულო – 22).

გიგიბერიძე – 28 (ოზურგეთი – 20; თბილისი – 7; ქობულეთი – 1).

გიებაშვილი – 25 (დედოფლისწყარო – 6; თბილისი – 6; რუსთავი – 5).

გითაძე – 20 (კასპი – 17; თბილისი – 1; მოსკოვის ლტოლვილი – 1).

გილაძე – 46 (ახმეტა – 34; თბილისი – 4; თელავი – 3).

გიორგბელიძე – 32 (ქუთაისი – 9; ბოლნისი – 7; ცაგერი – 4).

გიორგიძე – 36 (თბილისი – 22; თეთრიწყარო – 8; ბოლნისი – 3).

გიორგხელიძე – 35 (წყალტუბო – 15; ბოლნისი – 7; ქობულეთი – 5).

გირგაძე – 37 (თბილისი – 9; რუსთავი – 5; თეთრიწყარო – 3).

გირმისაშვილი – 24 (თბილისი – 12; ყვარელი – 12).

გიუნაიძე – 34 (ახმეტა – 29; თელავი – 5).

გიჯიაშვილი – 23 (თბილისი – 23).

გლახოშვილი – 20 (თელავი – 12; თბილისი – 4; სენაკი – 4).

გმირიძე – 21 (გარდაბანი – 11; რუსთავი – 9; ქარელი – 1).

გობიანიძე – 27 (თბილისი – 20; ახალციხე – 6; რუსთავი – 1).

გოგაბერაშვილი – 33 (ოზურგეთი – 17; ვანი – 9; ქუთაისი – 7).

გოგალაშვილი – 36 (თბილისი – 9; თელავი – 1; მცხეთა – 26).

გოგბერიშვილი – 25 (თბილისი – 9; ზესტაფონი – 6; ზუგდიდი – 2).

გოგიაძე – 20 (ქუთაისი – 10; თბილისი – 4; ბაღდათი – 2).

გოგიბერია – 38 (ზუგდიდი – 8; თბილისი – 6; სენაკი – 5).

გოგინაძე – 20 (ვანი – 8; თბილისი – 7; ზუგდიდი – 1).

გოგიჩიძე – 30 (თელავი – 15; თბილისი – 9; ვანი – 2).

გოგიჯანაშვილი – 47 ( თბილისი – 29; გორი – 1; თელავი – 1).

გოგლაშვილი – 24 (თბილისი – 6; გურჯაანი – 5; ლაგოდეხი – 3).

გოგმეჩაძე – 21 (თბილისი – 5; სამტრედია – 16).

გოგოთიძე – 33 (ახმეტა – 32; თელავი – 1).

გოგოლავა – 28 (წალენჯიხა – 9; ზუგდიდი – 6; თბილისი – 5).

გოგორიკიძე – 30 (ოზურგეთი – 23; გარდაბანი – 4; თბილისი – 1).

გოგოშიძე – 44 (თბილისი – 19; სამტრედია – 4; ქუთაისი – 4).

გოგრაძე – 23 (ქუთაისი – 9; თბილისი – 4; რუსთავი – 3).

გოგრეჭიანი – 30 (ოზურგეთი – 14; თბილისი – 12; მესტია – 1).

გოგრიაშვილი – 25 (დუშეთი – 9; თბილისი – 9; რუსთავი – 7).

გოდაძე – 40 (კასპი – 29; თბილისი – 15; გორი – 2).

გოდელიძე – 21 (ადიგენი – 1; ოზურგეთი – 1; ჭიათურა – 19).

გოდერძაული – 26 (თბილისი – 12; თიანეთი – 8; მცხეთა – 6).

გოდიბაძე – 34 (ზესტაფონი – 19; თბილისი – 9; ლანჩხუთი – 1).

გოდინაშვილი – 20 (თბილისი – 20).

გოდორაძე – 43 (ოზურგეთი – 10; ახალქალაქი – 7; სენაკი – 4).

გოთაიძე – 27 (ახმეტა – 18; თელავი – 3; თბილისი – 1).

გოთონელია – 21 (სამტრედია – 12; თბილისი – 2; ზესტაფონი – 1).

გოიაშვილი – 43 (გორი – 20; თბილისი – 12; კასპი – 6).

გოკაძე – 20 (თბილისი – 11; რუსთავი – 8; ტყიბული – 1).

გოლაძე – 28 (თბილისი – 11; რუსთავი – 5; ზესტაფონი – 3).

გოლიჯაშვილი – 36 (თბილისი – 11; ბათუმი – 5; გორი – 3).

გომშიაშვილი – 25 (გურჯაანი – 20; თბილისი – 5).

გონდაური – 26 (თბილისი – 26).

გონიტაშვილი – 42 (თბილისი – 30; საგარეჯო – 12).

გონცაძე – 47 (ბორჯომი – 32; რუსთავი –3; წყალტუბო – 3).

გორიაშვილი – 27 (თბილისი – 4; რუსთავი – 3; დუშეთი – 1).

გორნაკაშვილი – 41 (ახმეტა – 41).

გოშნიაშვილი – 48 (თბილისი – 8; რუსთავი – 5; ლაგოდეხი – 1).

გოჩიშვილი – 25 (კასპი – 9; თბილისი – 6; თელავი – 3).

გოძილაძე – 20 (ზუგდიდი – 15; თბილისი – 5).

გოჭაშვილი – 43 (ახალგორი – 27; თბილისი – 5; გორი – 3).

გრიალაშვილი – 26 (თბილისი – 19; კასპი – 6; საგარეჯო – 1).

გრიგალიშვილი – 20 (ქუთაისი – 5; თბილისი – 4; ზესტაფონი – 4).

გუგელაშვილი – 20 (გურჯაანი – 11; თბილისი – 9).

გუგენაშვილი – 23 (დედოფლის წყარო – 15; თბილისი – 8).

გუგეშვილი – 20 (თბილისი – 15; ახმეტა – 1; ლანჩხუთი – 1).

გუგოშვილი – 29 (რუსთავი – 13; თბილისი – 2; ყვარელი – 14).

გუგუბერიძე – 43 (ბორჯომი – 20; სამტრედია – 7; თბილისი – 5).

გუგულავა – 30 (სამტრედია – 13; თბილისი – 11; აბაშა – 4).

გუგულაძე – 25 (ხელვაჩაური – 19; ბათუმი – 3; თბილისი – 1).

გუგულიშვილი – 21 (გორი – 11; ოზურგეთი – 4; თბილისი – 3).

გუგუნაძე – 25 (თბილისი – 24; ქუთაისი – 1).

გუგუნიშვილი – 22 (თბილისი – 14; რუსთავი – 8).

გუგუტიძე – 26 (თბილისი – 8. ვანი – 6; სამტრედია – 3).

გუგუჩაძე – 32 (თბილისი – 14; სამტრედია – 9; აბაშა – 1).

გუდაბანიძე – 34 (ზუგდიდი – 11; თბილისი – 11; ჩხოროწყუ – 6).

გუდაბაძე – 37 (ზუგდიდი–22; თბილისი–11; ჩხოროწყუ–6 )

გუიშვილი – 31 (თბილისი – 26; ლაგოდეხი – 5).

გულარიძე – 28 (თბილისი – 28).

გულდაშვილი – 20 (ვანი – 8; ონი – 7; ბაღდათი – 1).

გულულაშვილი – 24 (ახმეტა – 1; საგარეჯო – 23).

გუნაშაშვილი – 47 (ახმეტა – 47).

გუნდიაშვილი – 38 (გორი – 6; თბილისი – 32).

გუნთაძე – 41 (ლანჩხუთი – 23; თბილისი – 6; ქუთაისი – 6).

გუნთიაშვილი – 23 (ოზურგეთი – 16; ბათუმი – 4; თბილისი – 2).

გურასიძე – 24 (საგარეჯო – 16; რუსთავი – 6; თბილისი – 1).

გურულიშვილი – 41 (თბილისი – 14; ბათუმი – 11; გარდაბანი – 10).

გუსიშვილი – 27 (გორი – 26; კასპი – 1).

გუტიკაშვილი – 21 (თბილისი – 21).

გუქუაძე – 33 (თბილისი – 18; სამტრედია – 14; ხონი – 1).

გუჯელაშვილი – 28 (თბილისი – 28).

გუჯიაშვილი – 26 (გურჯაანი – 9; თბილისი – 8; ახალციხე – 4).

გუჯუა – 46 (ზუგდიდი – 24; აბაშა – 3; თბილისი – 19).


მთავარი რედაქტორი
ნოდარ გრიგალაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, თავისუფლების მოედანი, პუშკინის ქ. 5

გაზეთის ინდექსი 66447

ფასი 50 თეთრი

ტელეფონები:
რედაქტორი: 93-20-36,
რედაქტორის მოადგილე: 93-18-41

რეგისტრირებულია თბილისის კრწანისის რაიონის სასამართლოს მიერ. №06/4-444